პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 1 ივნისი, 1946 წ. № 109 (7582). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

პარტიული დადგენილება სანიმუშოდ უნდა სრულდებოდეს. მოწინავე (1-ლი გვერდი).

ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ეგვიპტის დესპანი ბ-ნი ელ-ბენდარი ფაშა (1-ლი გვერდი).

მოვაწყოთ სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება კვების მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის (1-ლი გვერდი).

ზეიმი ხრამის ჰიდროელსადგურის მშენებლობაზე (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვერდი).

გ. ი. კრამოლნიკოვი — ვ. ი. ლენინის პუბლიცისტური და ლიტერატურული მოღვაწეობის სტილის შესახებ (მე-2 გვერდი).

შ. ჭანუყვაძე — ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ დავალებათა შესრულებისათვის (მე-3 გვერდი).

საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

პარტიული დადგენილება სანიმუშოდ უნდა სრულდებოდეს

ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ნაცადი მეთოდია შესრულების შემოწმება. პარტიულ ხელმძღვანელს იგი საშუალებას აძლევს გაიგოს ვის რა უნარი აქვს და რისი გაკეთება შეუძლია, სწორად გაანაწილოს ძალები, მიაღწიოს წარმატებას. შესრულების შემოწმება აწრთობს კომუნისტს, ზრდის მის პასუხისმგებლობას პარტიული დავალებისათვის. სადაც შესრულების შემოწმება სისტემატურად არ ხდება, იქ უსათუოდ თავს იჩენს მოდუნება და უდისციპლინობა, გადაწყვეტილებებიც მხოლოდ ქაღალდზე რჩება, არ ხორციელდება.

„შესრულების კარგად დაყენებული შემოწმება, — გვასწავლის ამხანაგი **სტალინი**, — ეს ის პროჟექტორია, რომელიც გვეხმარება გავაშუქოთ აპარატის მუშაობის მდგომარეობა ყოველ დროს და დღის სინათლეზე გამოვიყვანოთ ბიუროკრატები და კანცელარისტები. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ჩვენი ხარვეზებისა და გარღვევების ცხრა მეათედი აიხსნება შესრულების სწორად დაყენებული შემოწმების უქონლობით“.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციების წინაშე ამჟამად ახალი, გრანდიოზული ამოცანები დგას. [illegible]

[illegible] ბოდა. პარტიულმა ორგანიზაციამ სასწრაფო ზომები მიიღო საწყობის მუშაობის გასაუმჯობესებლად. საკითხი დასვა ქარხნის ადმინისტრაციის წინაშე. მალე ეს საქმე მოგვარდა. გაიზარდა მუშაობის ტემპებიც.

შესრულების შემოწმებისადმი უყურადღებობა უარყოფით გავლენას ახდენს მთელ მუშაობაზე. მაგალითად, თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის გადაწყვეტილებები ხშირად მხოლოდ ქაღალდზე რჩება იმიტომ, რომ მათ შესრულებას არავინ ამოწმებს. დავალებათა შესრულებისათვის იქ ნაკლებ პასუხისმგებლობას გრძნობენ, პარტიული ორგანიზაცია ღრმად ვერ სწვდება საწარმოო საკითხებს. სუსტია კომუნისტებისა და კომკავშირელების ავანგარდული როლი, დაბალია შრომის დისციპლინა. ფაბრიკა სისტემატურად ჩამორჩება გეგმების შესრულებაში. მსგავსი ფაქტები გვხვდება სოფლადაც. გეგეჭკორის რაიონის სოფელ ლეხაინდრაოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია საწარმოო საკითხებს მართალია ხშირად იხილავს, მაგრამ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრუ- [illegible]

[illegible] აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი ღონისძიებანი დასახა. პარტიული ორგანიზაცია ბოლომდე მიჰყვა დაწყებულ საქმეს, უზრუნველჰყო დადგენილების შესრულება. კომუნისტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამ საქმეში. ისინი მეთაურობდნენ უპარტიო მუშების გაზრდილ თაოსნობას. წარმოებაში კომუნისტების ამ ავანგარდულმა როლმა უზრუნველჰყო ფაბრიკის საწარმოო წარმატება — აპრილში გეგმა 131 პროცენტით შესრულდა. კიდევ უკეთესად მუშაობდა ფაბრიკა მაისში. შესრულების შემოწმება დაეხმარა თბილისის ქარხანა „დაზგის“ პარტიულ ორგანიზაციას წარმატებათა მოპოვებაში. აი ერთი მაგალითი: ქარხანას აქვს სამუშაო იარაღის საწყობი. მის მუშაობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ერთხანს საწყობი ცუდად მუშაობდა, დროულად ვერ აწვდიდა მუშებს საჭირო იარაღებს, იმართებოდა რიგები, საქმე ფერხდე- [illegible]

[illegible] ტომოდ შესრულება სავალდებულოა თვითეული კომუნისტისათვის.

ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი **სტალინი** გვასწავლის, რომ პარტიის სწორი პოლიტიკის განსახორციელებლად საჭიროა ორი უმნიშვნელოვანესი პირობის დაცვა: „ჯერ-ერთი, მუშაკთა სწორი შერჩევა და პარტიის პოლიტიკის შესრულების შემოწმება. მეორე, მოქნილობა მასების ხელმძღვანელობაში და მაქსიმალური გულისხმიერება მასების საჭიროებათადმი, კიდევ გულისხმიერება და კიდევ გულისხმიერება“.

ახალი ხუთწლიანი გეგმა დიდ ამოცანებს უსახავს ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს. ეს ამოცანები წარმატებით რომ შესრულდეს, საჭიროა გავაუმჯობესოთ პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა, დავრაზმოთ მასები, გამოვიყენოთ სამამულო ომის პერიოდში მიღებული გამოცდილება, სანიმუშოდ მოვაწყოთ მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება.

მიღებულია ამხანაგ ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველი ტომი

„საქართველოს წიგნის“ პერიოდულ გამოცემათა სექტორმა მოსკოვიდან მიიღო ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველი ტომი, რომელშიც შევიდა 1901 წლიდან 1907 წლის აპრილამდე დაწერილი ნაწარმოებები. დაიწყო თხზულებათა პირველი ტომის დარიგება ხელისმომწერთათვის.

ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ეგვიპტის დესპანი ბ-ნი ელ-ბენდარი ფაშა

31 მაისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ეგვიპტის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი მოჰამედ ქამელ ელ-ბენდარი ფაშა იმასთან დაკავშირებით, რომ მან თავისი რწმუნების სიგელები უნდა გადასცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს.

უკრაინის ლიტერატურის ბიბლიოგრაფია

კიევი, 29 მაისი. (საკდესი). უკრაინის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის უკრაინული ლიტერატურის ინსტიტუტი უკრაინული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის შედგენაზე მუშაობს. უკვე დამთავრებულია ლექსიკონი „საბჭოთა უკრაინის მწერლები“. ლექსიკონში მოთავსებულია მოკლე ბიოგრაფიული ცნობები რესპუბლიკის 300 მწერლის შესახებ, მათი ნაწარმოებების სრული ბიბლიოგრაფია. ეს ლექსიკონი გამოცემის მეორე ტომი იქნება.

ინსტიტუტის მუშაკები შეუდგნენ მუშაობას პირველი ტომის — „XIX საუკუნისა და XX საუკუნის დამდეგის უკრაინელი მწერლები“—შესადგენად, რომელიც წელს დამთავრდება.

მუშავდება გეგმა მესამე ტომისა— „სსრ კავშირისა და მსოფლიოს ხალხთა მწერლები“ უკრაინულ თარგმანებსა და კრიტიკაში.

ბიბლიოთეკარები განთავისუფლებული რაიონებისათვის

ლენინგრადი, 29 მაისი. (საკდესი). პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პროფმოძრაობის უმაღლეს სკოლასთან მოეწყო ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სამთვიანი კურსები ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებული რაიონებისათვის. მსმენელები სწავლობდნენ პარტიის ისტორიას, ლიტერატურის ისტორიას, გეოგრაფიასა და ბიბლიოთეკათმცოდნეობას.

გუშინ კურსებზე წარმატებით ჩატარდა უკანასკნელი ჩათვლები. ბიბლიოთეკარები სამუშაოდ მიემგზავრებიან ბელორუსიასა, უკრაინასა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში.

მოვაწყოთ სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება კვების მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ვესელო-პოდოლიანსკის შაქრის კომბინატისა და მოსკოვის საკონდიტრო ფაბრიკა „კრასნი ოქტიაბრის“ კოლექტივის მიმართვა საბჭოთა კავშირის კვების მრეწველობის საწარმოთა ყველა მუშის, ინჟინრისა და მოსამსახურისადმი

[illegible]

ვესელო-პოდოლიანსკის შაქრის კომბინატი

[illegible]

4. სათბობის ხარჯვა დაწესებულ ნორმასთან შედარებით შევამციროთ 6 პროცენტით.

[illegible]

8. 1946 წელს მოვამზადოთ საწარმოო კვალიფიკაციების 400 მუშა.

მოსკოვის საკონდიტრო ფაბრიკა „კრასნი ოქტიაბრი“

[illegible]

7. სამშენებლო მასალებით დახმარება გავუწიოთ წითელი არმიის დაღუპულ მეომართა ოჯახებს, სამამუ- [illegible]

[illegible]

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს**!

მიმართვა განხილული და მიღებულია ვესელო-პოდოლიანსკის შაქრის კომბინატისა და მოსკოვის საკონდიტრო ფაბრიკა „კრასნი ოქტიაბრის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების საამქროების, ცვლებისა და საერთო საქარხნო კრებებზე.

ზეიმი ხრამის ჰიდროელსადგურის მშენებლობაზე

სადგურის სათავის ნაგებობათა პირველი გამოცდა

ხრამის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს 29 მაისს დიდი ზეიმი ჰქონდათ. ამ დღეს ისინი პირველად შეუდგნენ მრავალი წლის შრომითა და გარჯით აშენებული, საქართველოში ყველაზე უძლიერესი ამ ჰიდ- [illegible]

[illegible]

სათავის ნაგებობათა გამოცდას შეუდგნენ დილის რიჟრაჟისთანავე. უკვე წამოიწია მზემ. ბიტუმის ფენა შეახმა მთავარი არხის დროებითს ფარს, ხოლო კაშხალის საფარზე უქანგავი ფოლადისაგან გაკეთებულ ეკრანზე დიდი ხნის გამშრალი იყო სალებავი. [illegible] თან ერთად სხვა ამხანაგებმა დაათვალიერეს ხრამჰესის მშენებლობა, გაეცნენ მშენებელთა მიღწევებს და მათ საჭიროებებს. ამხანაგმა კ. ნ. ჩარკვიანმა მშენებლებს მისცა მითითებანი ჰიდროელექტროსადგურის აქუშავების უზრუნველსაყოფად მთავრობის მიერ დაწესებულ ვადებში.

წყალსაცავის საცდელი ავსების მიზანი

რატომ ხდება ხრამჰესის წყალსაცავის საცდელი ავსება? რა მიზანს ისახავენ სადგურის მშენებლები ამით? ამ საკითხებზე ხრამჰესის მშენებლობის მთავარი ინჟინრის მოადგილემ და [illegible]

[illegible] ახლა წყალსაცავია, მრავალი ათასი წლის წინათ ტბა ყოფილა. შემდეგ, გეოლოგებმა ეს ზუსტად გამოარკვიეს, ტბიდან მდინარე სამხრეთისაკენ გადაჭრილა. კვლავ მრავალი ათასი წლის შემდეგ ტბა ხელახლა შეგუბებულა, ხოლო ბოლოს მდინარეს ისევ მოუნახავს ძველი გზა. ყოველივე ამას ადასტურებს წყალსაცავის ნიადაგის სიღრმეთა შესწავლა. დადასტურებულია ისიც, რომ ამ ადგილიდან ოდესღაც წყალმა დაიწყო ჟონვა [illegible] მელიც ჯერჯერობით სავსებით დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს და ჩვენს ყველა მოლოდინს ამართლებს — არის ამავე დროს მის მშენებელთა კოლექტივის გამოცდაც.

ყველაფერი მოწმობს, რომ ამ გამოცდას კარგად ჩავაბარებთ.

სპეციალისტთა დაუსწრებელი მომზადება პედაგოგიურ სასწავლებლებში

რსფსრ განათლების სამინისტრომ შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი უმაღლეს და საშუალო პედაგოგიურ სასწავლებლებში სპეციალისტთა დაუსწრებელი მომზადების გასაუმჯობესებლად.

[illegible] წრებელზე მოსწავლენი გაათავისუფლონ საღამოს მუშაობისაგან, დროზე მისცენ მათ სასწავლო შვებულება, გამოჰყონ სკოლების საჭირო რაოდენობა, სადაც ახალი წლიდან სა- [illegible]

რსფსრ მინისტრთა საბჭოში

საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტი

რსფსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა ადგილობრივი საბჭოების საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტის 1946 წლის გეგმა. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საოლქო, სამხარეო და სა- [illegible]

[illegible] საცხოვრებელი სახლების რემონტი წლის პირველ ნახევარში წლიური გეგმის სულ ცოტა 50 პროცენტი, ხოლო მესამე კვარტალში — 40 პროცენტი.

ადგილობრივი მრეწველობის, სა- [illegible] რეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის საწარმოებს ეძლევათ დავალებანი ლურსმნის, ხჭვალების, კავეულისა და ლუმელის ნაწარმის, სახურავისა და სხვა მასალების წარმოებისათვის, საოლქო და [illegible] სამშენებლო მასალის გადასაზიდავად.

საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტის დასაფინანსებლად დამატებით გამოყოფილია 15 მილიონი მანეთი ცენტრალური კომუნალური ბანკის კრედიტის ხარჯზე.

საკდესი უარყოფს

შანხაის გაზეთმა „შენბაომ“ დაბეჭდა ცნობა ძინანიდან, თითქოს 100 საბჭოთა ოფიცერი წვრთნიდეს ჩინეთის კომუნისტური არმიის საარტილერიო ნაწილებს ჯაოდუნში და ამ არმიის 3 ბატალიონი აღჭურვილი იყოს საბჭოთა იარაღით.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ეს ცნობა თავიდან ბოლომდე მოჭორილია.

კომუნისტი შაბათი, 1 ივნისი, 1946 წ. № 109 (7582)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის" ორდენებითა და „დედობის მედლის" მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წ. 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ:

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ცხრა შვილი „სახელოვანი დედის" I ხარისხის ორდენით:

1. **ქავთარაძე** მარიამ გიორგის-ასული—ხობის რაიონის სოფელ ძველი ხიბულის კოლმეურნეობის წევრი;
2. **ხვედელიძე** ვერა ვასილის-ასული—ხობის რაიონის სოფელ პირველი ხორგის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს რვა შვილი „სახელოვანი დედის" II ხარისხის ორდენით:

1. **ბერაია** ვერა კანდის-ასული—ხობის რაიონის სოფელ პირველი ხორგის კოლმეურნეობის წევრი;
2. **ბერაია** ცაცუ აკაკის-ასული—ხობის რაიონის სოფელ შუა ხორგის კოლმეურნეობის წევრი;
3. **გერგაია** თამარ სიმონის-ასული—დიასახლისი, სოფელი ხობი, ხობის რაიონი;
4. **ბიდამირჩი** ხორომდე ვარდანის-ასული — დიასახლისი, ქ. თბილისი;
5. **ბიტიაკოვა** რაფკა იოსების-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
6. **შაფათავა** მარიამ ბაბვას-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
7. **ხარამშვილი** ბედიშა ბაბვას-ასული—ხობის რაიონის სოფელ ახალხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს შვიდი შვილი „სახელოვანი დედის" III ხარისხის ორდენით:

1. **ადანაია** ელენე (ელიკო) ტაგუს-ასული — ხობის რაიონის სოფელ პირველი ხორგის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **აკოფოვა** სოფიო ეგიაზარის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
3. **ალიევა** სოფიო ნიკოლოზის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
4. **ახატუროვა** ვართანუშ ოჰანესის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
5. **გაბრავა** მარიამ ბესარიონის-ასული—ხობის რაიონის სოფელ ხეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
6. **გახოკია** მაშო გიორგის-ასული — ხობის რაიონის სოფელ შუა ხორგის კოლმეურნეობის წევრი;
6. **გრიგორიანცი** ზინობია კონსტანტინეს-ასული—ხობის რაიონის სოფელ ხობის კოლმეურნეობის წევრი;
8. **პაპავა** ალექსანდრა (საშა) კალისტრატეს-ასული—ხობის რაიონის სოფელ პირველი ხორგის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
9. **პაპავა** ჰუჰუ ანდრიას-ასული—ხობის რაიონის სოფელ პირველი ხორგის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
10. **ტაბაღუა** ივლიტა სუმოს-ასული—ხობის რაიონის სოფელ ქვემო ქვალონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
11. **ქვარცხავა** ოლღა ერმილეს-ასული—ხობის რაიონის სოფელ ახალ-ხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
12. **ჩარგაზია** ვეფხვია იოსების-ასული—ხობის რაიონის სოფელ პირველი ხორგის კოლმეურნეობის წევრი;
13. **ჯგერენაია** ვენია ალექსის-ასული—ხობის რაიონის სოფელ თორსის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ექვსი შვილი „დედობის მედლის" I ხარისხის მედლით:

1. **ანდღულაძე** ქეთევან ბესარიონის-ასული —ხობის რაიონის სოფელ ქვემო ქვალონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **არზუმანიანი** მანია მელიტონის-ასული — დიასახლისი, ქ. თბილისი;
3. **ბიკოვა** პავლინა ივანეს-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
4. **ბუკია** ნადეჟდა ხასოს-ასული — ხობის რაიონის სოფელ შუა ხორგის კოლმეურნეობის წევრი;
5. **გოგუა** დუშა საბას-ასული—ხობის რაიონის სოფელ ქვემო ქვალონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
6. **გორგაძევა** ანა ალექსის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
7. **გორიგლევაშვილი** ეკატერინე გიორგის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
8. **ლომიაშვილი** ნინო დავითის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
9. **მელაძე** სიდო არტემის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
10. **მეფარიშვილი** ქსენია სტეფანეს-ასული—ხობის რაიონის სოფელ ქვემო ქვალონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
11. **ოგანეზოვა** აისტან არუთინის-ასული — მუშა, ქ. თბილისი;
12. **პაიანოვა** ევგენია პავლეს-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
13. **სააკიანცი** ლუსიკ გასპარის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
14. **შენგელია** ოლღა დიმიტრის-ასული — ხობის რაიონის სოფელ ქვემო ქვალონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
15. **ხუჭუა** თამარ ალექსანდრეს-ასული — დიასახლისი, ქ. თბილისი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ხუთი შვილი „დედობის მედლის" II ხარისხის მედლით:

1. **აბობაძე** ეკატერინე ალექსის-ასული — დიასახლისი, ქ. თბილისი;
2. **ბარსეღიანი** სოფიო ვართის-ასული—მუშა, ქ. თბილისი;
3. **ბეჟანოვა** ოლღა მერგოს-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
4. **გელაძე** დარია მიხეილის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
5. **გერგაია** ევგენია (ჟენია) აკაკის-ასული — ხობის რაიონის სოფელ ქარიატის კოლმეურნეობის წევრი;
6. **გოგუა** მინა ფარნას-ასული—ხობის რაიონის სოფელ ქვემო ქვალონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
7. **დოლბაძე** ქიონია ნესტორის-ასული—ხობის რაიონის სოფელ ბიის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
8. **თომაშვილი** ნადეჟდა დიანოზის-ასული — დიასახლისი, ქ. თბილისი;
9. **თუხარელი** ნადეჟდა იოსების-ასული — დიასახლისი, ქ. თბილისი;
10. **კუპავა** ფელოსი ვასილის-ასული—ხობის რაიონის სოფელ ქვემო ქვალონის კოლმეურნეობის წევრი;
11. **მესტიაშვილი** თამარ ალექსანდრეს-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
12. **ნიკოლაიშვილი** ქსენია პეტრეს-ასული—ხობის რაიონის სოფელ ქვემო ქვალონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
13. **ოტიაშვილი** ნინო იასონის-ასული—მუშა, ქ. თბილისი;
14. **საბაევა** ეკატერინე ესტატეს-ასული — დიასახლისი, ქ. თბილისი;
15. **სურგულაძე** ალექსანდრა თენგიზის-ასული—ხობის რაიონის სოფელ ქვემო ქვალონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
16. **ტაბურიძე** მართა ზაქარიას-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
17. **ტატანაშვილი** ელისაბედ დარჩოს-ასული —დიასახლისი, ქ. თბილისი;
18. **ტუმახოვა** მარიამ მოსესის-ასული—დიასახლისი, ქ. თბილისი;
19. **უზნაძე** ეკატერინე გიორგის-ასული — მუშა, ქ. თბილისი;
20. **შამუგია** ოლღა ალექსის-ასული—ხობის რაიონის სოფელ ქარიატის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
21. **ჩერნენკო** ლუბა ალექსანდრეს-ასული — დიასახლისი, ქ. თბილისი;
22. **ჩოკორაია** ტატიანა ივანეს-ასული—ხობის რაიონის სოფელ ქვემო ქვალონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრი
23. **ცხადაია** გუგუ ანდრიას-ასული—ხობის რაიონის სოფელ ქარიატის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი
1946 წ. 15 მაისი, ქ. თბილისი.

შეხვედრა გმირული ბრძოლების სახელოვან მონაწილეებთან

27 მაისს, საღამოს ნავთლუღის რკინიგზის სადგურის ბაქანზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. თბილისის მშრომელნი მოუთმენლად ელოდნენ მესამე რიგის დემობილიზებულთა პირველ ეშელონს. აქ იყვნენ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სამხედრო ნაწილების წარმომადგენლები, დემობილიზებულთა ნათესავები და დედაქალაქის მშრომელები.

უკვე შებინდებული იყო, როცა გამოჩნდა ყვავილებით მორთული ორთქლმავალი. ვაგონებიდან იყურებიან ქართველი ვაჟკაცები, მათს მკერდზე ბრწყინავენ ორდენები და მედლები.

მატარებელი ნელნელა ჩერდება.

—„გაუმარჯოს მამაც მეომრებს!" „გაუმარჯოს სამშობლო საქართველოს!", „გაუმარჯოს საყვარელ ბელადს დიდ სტალინს!"—ისმის მოსულთა და დამხვდურთა შეძახილები.

ყველანი ულოცავენ მეომრებს გამარჯვებით ჩამოსვლას, ეხვევიან, ყვავილებს აყრიან.

ათასზე მეტი დემობილიზებული ჩამოვიდა ამ დღეს თბილისში. მათ შორის არიან ბერლინისა და კენიგსბერგის აღების გმირები, ვარშავის განთავისუფლებისათვის ბრძოლის მონაწილენი.

თბილისელ ვახტანგ ერასტის-ძე ჩიხლაძეს შეხვდა მისი და. ვახტანგი 1939 წლიდან წითელ არმიის რიგებში იყო. ის იბრძოდა ბელორუსიისა და ვარშავის განთავისუფლებისათვის და ბერლინის აღებისათვის.

თბილისელ თენგიზ მიხეილის-ძე კანდელაკსაც შეხვდნენ თავიანი მეგობრები. თენგიზს მკერდს უმშვენებს წითელი დროშისა და წითელი ვარსკვლავის ორდენები და ოთხი მედალი.

აი სერჟანტი არტილერისტი ნიკოლოზ გიორგის-ძე ცხაკაია, ცხაკაიას რაიონის სოფელ შხეფიდან. ის ამაყობს იმით, რომ ვარშავის განთავისუფლებისა და ბერლინის აღების მონაწილეა. დაჯილდოებულია წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის, დიდების ორდენებით და რამდენიმე მედლით. სახელოვან მეომარს ახლა შინ მიუხარია. ნიკოლოზს გვერდით უდგას ვასო კლიმენტის-ძე გვაზავა, რომელსაც ახლა მოუთმენლად ელიან თავისიანები აბაშის რაიონის სოფელ ნორიოში.

ბელორუსია, ვარშავა და ბოლოს ბერლინი ბრძოლებით გაიარა სერჟანტმა პეტრე ალექსის-ძე მამულაშვილმა. ახლა, ორდენებითა და მედლებით დამშვენებული, სასახელოდ უბრუნდება მშობლებს. ის კასპის რაიონის სოფელ ქვემო გომიდანაა.

თავდადებული ბრძოლით დაიმსახურა ლანჩხუთელმა შალვა პავლეს-ძე გოგიჩაიშვილმა ორი წითელი ვარსკვლავის ორდენი, მედლები „მამაცობისათვის", „ვარშავის განთავისუფლებისათვის" და „ბერლინის აღებისათვის".

—ბედნიერი ვარ,—ამბობს დემობილიზებული სერჟანტი გრიგოლ ონისიმეს-ძე დოლიძე,—რომ მეც ვიღებდი მონაწილეობას სამშობლოს მტრების განადგურებაში. მტერს ვებრძოდი ქერჩთან, სევასტოპოლთან და, ბოლოს ბერლინშიც.

ჩამოსულ დემობილიზებულთაგან თბილისელები შინ გაემგზავრნენ მათთვის მომზადებული ტრანსპორტით. რაიონებში მიმავალთათვის მომზადებული იყო დასასვენებელი ოთახები.

ნ. კალანდაძე

ვ. ი. ლენინის პუბლიცისტური და ლიტერატურული მოღვაწეობის სტილის შესახებ*

საბჭოთა ადამიანები უდიდესი სიყვარულითა და მადლობით წარმოსთქვამენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის საქმეს.

არავის იმდენი არ გაუკეთებია ლენინის მოძღვრების პროპაგანდისა და განვითარებისათვის, რამდენიც გააკეთა ლენინის საქმის ერთგულმა გამგრძობმა ამხანაგმა სტალინმა.

დიდად საინტერესოა თემა ვ. ი. ლენინის პუბლიცისტური და სარედაქტორო მუშაობის სტილის შესახებ.

თუ შევეხებით ლენინის სამეცნიერო-პოლიტიკურ მუშაობას, დავინახავთ, რაოდენ კოლოსალურია მისი მოცულობა. ისეთ ფუნდამენტალურ ქმნილებათა დაწერის დროს, როგორიც არის „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" ან „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", ლენინმა კრიტიკულად გამოიკვლია და შეისწავლა მონოგრაფიები, ფილოსოფიური, პოლიტიკური და ეკონომიური ტრაქტატები, ჟურნალები, საარქივო მასალები და სტატისტიკური კრებულები, რომლებითაც დიდი ბიბლიოთეკა შეიდგინებოდა. ცნობილია, მაგალითად, რომ წიგნზე „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია" მუშაობისას ლენინმა ამონაწერები გააკეთა 148 ინგლისური, ფრანგული, გერმანული და რუსული წიგნიდან და 49 პერიოდულ გამოცემაში დაბეჭდილი 232 სტატიიდან. როცა ეს ამონაწერები გამოქვეყნდა, 43 ნაბეჭდი ფურცლის შემცველი ტომი გამოვიდა.

ლენინის, როგორც ჟურნალისტისა და პუბლიცისტის, მოღვაწეობა აგრეთვე გაოცებას იწვევს უდიდესი გაქანებით, უაღრესად ფართო ერუდიციით, არგუმენტაციის სიცხადითა და უცილობლობით, დიდი პრინციპულობით.

ლენინის მთელი მოღვაწეობის სტილს ახასიათებს ფართო რევოლუციური გაქანება, რომელიც გულისხმობს მეცნიერული აზროვნების უდიდეს პრინციპულობასა და შეუპოვრობას.

ლენინის მთელ მოღვაწეობას ახასიათებს რუსულ რევოლუციურ გაქანებასთან საქმისადმი უაღრესად სერიოზული დამოკიდებულების შეხამების უნარი. საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე ყოფნის მთელ პერიოდში ლენინი ენერგიულ ბრძოლას ეწეოდა როგორც უპრინციპო საქმოსნობასთან, ისე „რევოლუციურ" ლაყბობასთან.

ლენინი პრესისაგან მოითხოვდა: „რაც შეიძლება ნაკლებ პოლიტიკურ აურზაურს, ნაკლებ ზოგად მსჯელობას და აბსტრაქტულ ლოზუნგებს, რითაც სტკბებიან გამოუცდელი კომუნისტები, რომლებსაც თავისი ამოცანები ვერ შეუგნიათ, რაც შეიძლება მეტ საწარმოო პროპაგანდას, ყველაზე მეტად კი იმას, რომ საქმიანად, უნარიანად, მასის განვითარების დონის შესაბამისად იქნას გამოყენებული პრაქტიკული გამოცდილება".

ლენინის მოღვაწეობას ახასიათებს უდიდესი პასუხისმგებლობა პარტიის ყოველი დავალების შესრულების დროს. ამის დასადასტურებლად შეიძლება დავიმოწმოთ თუნდაც ერთი საყვირველი და ამავე დროს ტიპიური მაგალითი. ეს იყო რსდმპ-ის III ყრილობაზე 1905 წელს. დელეგატებს აოცებდა ლენინის გიგანტური მუშაობა: იგი იყო ყრილობის თავმჯდომარე და აწარმოებდა მის დღიურს. მან გააკეთა ძირითადი მოხსენებები და 100-ზე მეტჯერ წარმოსთქვა სიტყვა. თითქმის ყველა რეზოლუცია ლენინმა დასწერა. იგი ყრილობის თითქმის ყველა კომისიის მონაწილე, ამასთან მეტად აქტიური მონაწილე იყო.

სხდომების დროს ლენინი სწავლობდა ადამიანებს, დელეგატები დაჰყო სამ ჯგუფად: „პროპაგანდისტებად", „აგიტატორებად", „ორგანიზატორებად", მათი გამოსვლების ხასიათის შესაბამისად. აი ამდენ საქმეს აკეთებდა ილიჩი ყრილობაზე. მაგრამ მას ლონდონშიც არ დავიწყებია, რომ პარტიამ მას მიანდო გაზეთ „ვპერიოდის" რედაქტირება. ლენინმა ყრილობის სხდომებს შორის **მთლიანი** რედაქცია გაუკეთა გაზეთ „ვპერიოდის" მორიგ, მეჩვიდმეტე, ნომერს და ჟენევაში გაგზავნა.

ლენინს შეუწყნარებლად მიაჩნდა დაუდევრობა ლიტერატურულ და საგამომცემლო დარგის მუშაკთა მუშაობაში. როცა მან ნახა ცუდად გამოცემული ბროშურა „III ინტერნაციონალი" (1919 წ.), ბროშურის შემდგენელსა და გამომცემელს მაგრად მოხვდათ. ლენინი სწერდა:

„...სასტიკ საყვედურს გიცხადებთ ასეთი გამოცემისათვის და მოვითხოვ, რომ სახელმწიფო გამომცემლობის კოლეგიის ყველა წევრმა წაიკითხოს ჩემი ეს წერილი და სერიოზული ღონისძიებანი შეიმუშაოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ასეთი უმსგავსობა არ განმეორდეს.

ბროშურა გამოცემულია საძაგლად. ეს რაღაც ნაჯღაბნია. სარჩევი არა აქვს. ვიღაც იდიოტს, ან დაუდევარს, ცხადია, უვიცს, თითქოს სიმთვრალეში შეუგროვებია მთელი „მასალები", სტატიები, სიტყვები და ერთმანეთში არეულად დაუბეჭდია.

არ არის არც წინასიტყვაობა, არც ოქმები, არც გადაწყვეტილებათა ზუსტი ტექსტი, გადაწყვეტილებანი არაა გამოყოფილი სიტყვებისაგან, სტატიებისა და შენიშვნებისაგან, არაფერი არ არის! გაუგონრად სამარცხვინოა!

დიდ ისტორიულ მოვლენას სახელი აქვს გატეხილი ასეთი ბროშურით". („ლენინის კრებული", XXIV, გვ. 164).

ლენინი ძალიან მომთხოვნელი იყო უცხო ენებზე პარტიული დოკუმენტების მთარგმნელებისადმიც. როცა 1905 წელს ვლადიმერ ილიას-ძის წერილი გ. გრეილიხისადმი, რომელიც რსდმპ-ში მომხდარი გათიშვის მოკლე ნარკვევს შეიცავდა, დაუდევრად სთარგმნეს გერმანულ ენაზე, მან შემდეგი შენიშვნა გააკეთა: „აბსოლუტურად ვერ გაუგიათ და დაუმახინჯებიათ რუსული ტექსტი!! ჩვენ ღრმად ვეჭვობდით, იცის თუ არა მთარგმნელმა გერმანული ენა. ახლა იმაშიც დავეჭვდით, ესმის თუ არა მას რუსული". („ლენინის კრებული". XVI, გვ. 271).

* * *

ჩვენ მუდამ ვგრძნობთ, რომ ლენინისა და სტალინის ყოველი სიტყვა გასაოცრად ცხადი, მარტივი და მისაწვდომია. ეს იმით აიხსნება, რომ მათ ერთ წუთსაც არ ავიწყდებათ, რომ მათი აუდიტორია არის მშრომელთა მასები—ძირითადი ძალა, რომელიც ახალ საზოგადოებას აშენებს.

ლენინს მოჰყავს ფოიერბახის ნაწერთა ციტატები და მეტად მოსწრებულად მიაჩნია ფოიერბახის შენიშვნა: „...წერის გონებამახვილი მანერა, სხვათა შორის, ის არის, რომ იგი გულისხმობს ჭკუას მკითხველშიც, რომ იგი არ გამოსთქვამს ყველაფერს, რომ იგი მკითხველს საშუალებას აძლევს თვითონ გაითვალისწინოს ურთიერთობა, პირობები და შეზღუდვანი, როდესაც გამოთქმული ფრაზა ნამდვილია და შეიძლება გასაგები იყოს". ლენინი ამ სტრიქონების გასწვრივ სწერს: „მოსწრებულად ნათქვამია". (ვ. ი. ლენინი. „ფილოსოფიური რვეულები", გვ. 73).

ლენინი გვასწავლიდა პოპულარულად წერას, მაგრამ ნაძალადევი პოპულარობის წინააღმდეგი იყო. „კი არ უნდა გავუთანაბრდეთ განუვითარებელ მკითხველს, არამედ განუხრელად—ძალიან ფრთხილი თანდათანობით—უნდა ავამაღლოთ მისი განვითარება". (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. XXV, გვ. 479).

ლენინი უბრალოდ სწერს. მას სძაგს მეტყველების ღვლარჭნილი პათოსური სტილი, „დეფინიციებისადმი" მიდრეკილება. დებორინის ერთ-ერთი სტატიის არშიაზე ლენინი გულმოსულად შენიშნავს: „რატომ ენგელსი არ სწერდა ასეთი აჯამური ენით?" (ვ. ი. ლენინი. „ფილოსოფიური რვეულები", გვ. 414).

ვლადიმერ ილიას-ძე ზედმიწევნით დაუფლებულია რუსულ ენას—პუშკინის, ტურგენევის, ტოლსტოის, გორკის ენას. იგი ამ ანკარა, გამჭვირვალე—დახვეწილი და ზუსტი ენით გამოსთქვამს ურთულესი აზრის ყოველ ელფერს, ყოველ ნიუანსს.

ლენინი ხშირად ხაზგასმით აღნიშნავდა მასობრივი პროპაგანდის ამოცანას: მასებს უნდა ვასწავლოთ ანბანიდან, მაგრამ უნდა ვასწავლოთ არა „ნახევარმეცნიერება", არამედ მთელი მეცნიერება. ლენინი თავის სამეცნიერო თხზულებებშიც კი უბრალოდ განმარტავს რთულ ეკონომიურ ტერმინებს. მაგალითად, სიტყვა „კრიზისის" შემდეგ იგი აღნიშნავს ფრჩხილებში: „შეფერხება საქმეში". ვლადიმერ ილიას-ძე დაჟინებით მოითხოვდა, რომ პარტიელ მეცნიერებს თავიანთ სამეცნიერო შრომებში მუდამ მხედველობაში ჰყოლოდათ მკითხველი-მუშა და ცდილიყვნენ უბრალოდ წერას. სიმარტივე ლენინისა და სტალინის მუშაობის არა მარტო სტილი, არამედ მეთოდია.

* * *

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის არქივში კოლოსალური რაოდენობის დოკუმენტებში, რომლებიც ლენინის ბევრ ნაწარმოებთა თითქოს „ხარაჩოს" წარმოადგენენ, არის ვლადიმერ ილიას-ძის მიერ გაკეთებული სხვადასხვა ამონაწერები. ზოგი ამონაწერი გაკეთებულია მარქსისა და ენგელსის თხზულებებიდან, ზოგი — გაზეთებიდან. (მარქსისა და ენგელსის თხზულებებიდან და გაზეთებიდან გაკეთებული ამონაწერების მნიშვნელოვანი რაოდენობა გამოქვეყნებულია „ლენინის კრებულებში").

ლენინი მარქსთან თათბირობს ისტორიის ყოველი სერიოზული შემობრუნების, ყოველი ახალი უღელტეხილისა და ალმავლობის დროს. იგი გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს მარქსის აზრის განვითარებას, გულმოდგინედ აღნიშნავს ყველა მომენტს, როდესაც ცხოვრებას ახალი ელემენტები შეჰქონდა თითქოს დამკვიდრებული „ფორმულების" შინაარსში.

მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ მარქსის თვითეულ თეორიულ დებულებაში ლენინი შეამჩნევდა ხოლმე საერთაშორისო მუშათა მოძრაობის განზოგადებულ გამოცდილებას. ჩვენ ვიცით თუ რა მტკიცედ მოითხოვდნენ ლენინი და სტალინი, რომ კომუნისტებმა თეორია პრაქტიკას არ დააშორონ.

მეტად საგულისხმოა გავეცნოთ ლენინის საგაზეთო ამონაწერებს. ვლადიმერ ილიას-ძე გაზეთებიდან ამონაჭრებს კი არ აკეთებდა, არამედ ორიგინალის ენაზე ამოიწერდა ყოველივე აუცილებელს და იქვე იძლეოდა „თარგმანს". იგი ზუსტად აღნიშნავდა გაზეთის სახელწოდებას, ნომერსა და თარიღს; დილის თუ საღამოს გამოშვება იყო; მოწინავეა, ფელეტონი თუ შენიშვნა; ავტორის ხელმოწერას. იყო დღეები, როცა ლენინი წაიკითხავდა ოცზე მეტ გაზეთს რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენაზე.

ლენინი სწავლობდა პოლონურ და იტალიურ ენას. საკითხავია: როგორ ასწრებდა იგი ასეთი სისრულით თვალყური ედევნებინა უმნიშვნელოვანესი ქვეყნების პერიოდული ლიტერატურისათვის, როცა იგი ამდენ სამუშაოს ასრულებდა? ირკვევა, რომ ლენინი შეისწავლიდა გაზეთებს, რათა ზედმეტი არ წაეკითხა. მან მშვენივრად იცოდა რომელი გაზეთი რით იყო ძლიერი.

* * *

როგორ მუშაობდა ლენინი სტატიაზე?

გაზეთი „ვპერიოდი" გამოდიოდა შვიდ და ზოგჯერ ცხრა დღეში ერთხელ. 1905 წლის იანვრის დამლევს მზადდებოდა გაზეთის მეოთხე ნომრის გამოშვება. ეს იყო „სისხლიანი კვირის" ამბებისადმი მთლიანად მიძღვნილი პირველი ნომერი. ვლადიმერ ილიას-ძე პირდაპირ იწვოდა მუშაობის დროს. საკმაოა ითქვას, რომ თერთმეტი სტატიისა და შენიშვნიდან ათი ლენინის კალამს ეკუთვნის. იგი გულმოდგინედ აგროვებდა რუსეთისა და საზღვარგარეთის ყველა გამოხმაურებას 9 იანვრის ამბების გამო. ერთ-ერთ სტატიაში იგი შენიშნავს: „...ზოგიერთმა საზღვარგარეთულმა გაზეთმა უკვე შემოიღო „რუსეთის რევოლუციის დღიური". შემოვიღოთ ჩვენც ასეთი დღიური". (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. VII, გვ. 83).

ლენინის მუშაობის მოცულობა (საერთოდაც არაჩვეულებრივად დიდი) ასეთ დღეებში გიგანტური ხდება. და აი რა არის შესანიშნავი. მოვლენათა ყველაზე სწრაფი განვითარების პერიოდშიც კი, როცა საჭირო იყო დაუყოვნებლივ გამოხმაურება ამ მოვლენათა გამო, ლენინის ჟურნალისტურ მუშაობაში ბატონობს მისი ყოველგვარი მოღვაწეობის დამახასიათებელი იგივე გეგმიანობა. გამოსასვლელად მზადდებოდა გაზეთ „ვპერიოდის" მეოთხე ნომერი, ხოლო ლენინმა ორ კვირაზე მეტი ხნით ადრე უკვე დაგეგმა მეექვსე ნომრის მოწინავე წერილის სამზადისი. თავისთვის გაკეთებულ შენიშვნაში იგი სწერს: „№ 6-თვის დავწერო თუ არა მოწინავე თემაზე **საშინაო მობილიზაცია (პროლეტარიატის არმიის მობილიზაცია)**". („ლენინის კრებული", ტომი XVI, გვ. 59).

იქვე ლენინი ზოგადად მოხაზავს დასახული თემის განვითარების ზოგიერთ ძირითად მომენტს: „პროლეტარული სოლიდარობა... გაფიცულთა მასები **(ასობით ათასი!)**... მოძრაობის სწრაფი გავრცელება სხვა ქალაქებში..." (იქვე).

მაგრამ შემდეგ ვლადიმერ ილიას-ძე უფრო უახლოვდება მოწინავის ძირითადი შინაარსის განსაზღვრას და ამასთან მკვეთრად აკრიტიკებს თავის მიერვე შერჩეულ სტატიის სათაურს. უფრო ზუსტად ისახება სტატიის შინაარსიც.

ლენინი უფრო ზუსტ სახელს არქმევს თემას: „დღიური ქირვარამი", სახავს, თანმიმდევრულად აფართოებს და ავითარებს ცალკეულ პუნქტებს, სტატიის გეგმის სამ ვარიანტს, სწერს სტატიის თეზისებს და მოხაზავს კიდევაც თვითონ სტატიის ოთხ გვერდს.

მაგრამ ლენინი კმაყოფილი როდია თავისი მუშაობით. იგი ხელახლა სცვლის სტატიის სათაურს: „არა „დღიური ქირვარამი", არამედ „ახალი ამოცანები, ახალი ძალები", შემდეგ კი კვლავ აკრიტიკებს მას.

გააკრიტიკა რა თავისი სტატიის მონახაზი, ლენინი არ სჯერდება ამ მონახაზის მარტოოდენ გასწორებას, არამედ შემოქმედებითად გადაამუშავებს და განავითარებს მას, აღნიშნავს იმ სიახლეს, რითაც გამდიდრდა რევოლუციური მოძრაობა, რომელმაც თვისობრივი ნახტომი გააკეთა და გადაიზარდა რევოლუციაში. ლენინი სწავლობს, თუ როგორ მზადდებოდა ისტორიულად ეს თვისობრივი ნახტომი და კონკრეტულად ხატავს რევოლუციური მოძრაობისა და პარტიული მშენებლობის მიერ გამოვლილ „სამ უღელტეხილს", „სამ გადასასვლელს" და „სამ ალმავლობას". საბოლოოდ სტატიის სათაურია: „ახალი ამოცანები და ახალი ძალები".

სულ „ლენინის კრებულებში" (V და XVI) გამოქვეყნებულია თერთმეტი დოკუმენტი, რომლებიც ასახავენ სტატიაზე „ახალი ამოცანები და ახალი ძალები" ლენინის მუშაობის თერთმეტ ეტაპს. ამავე დროს კი ლენინს უბადლო ჟურნალისტური ოსტატობა ახასიათებდა და თვითონ სთვლიდა თავს ჟურნალისტად. შემთხვევითი როდია, რასაკვირველია, რომ რუსეთის კ. პ. (ბ) X ყრილობაზე ანკეტის შევსებისას მან აღნიშნა, რომ ეკუთვნის „ჟურნალისტების კავშირს".

* * *

ვლადიმერ ილიას-ძის მუშაობის კულტურა განსაკუთრებით მკაფიოდ მოსჩანს, როცა ვეცნობით ლენინს — რედაქტორს. იგი მუდამ იბრძოდა, რომ სარედაქციო კოლექტივი — რედაქტორებიცა და თანამშრომლებიც— ყოფილიყო პრინციპულად იდეური, არა შიშით, არამედ სინდისით მომუშავე კოლეგია. თავისთავისადმი უაღრესად მომთხოვნელი ლენინი მუშაობაში თავის ამხანაგებსაც უნერგავდა პარტიულ პასუხისმგებლობას ყოველი სიტყვისათვის, რომლებითაც ისინი მასებს მიმართავენ გაზეთის საშუალებით. იგი მათ უნერგავდა ეცხოვრათ იმით, რითაც ცხოვრობენ მასები, მილიონთა თვალით ეცქირნათ მოვლენებისათვის, რათა შესძლებოდათ განჭვრეტა, რათა ემუშავნათ გამჭრიახად, პერსპექტივიანად. ლენინი მოითხოვდა, რომ თანამშრომლები სწრაფად გამოხმაურებოდნენ ცხოვრების მოთხოვნილებებს; და გაფრთხილებას იძლეოდა, რომ თავისთავზე და თემაზე გულმოდგინე მუდმივი მუშაობის გაუწევლად ისინი ვერ შესძლებდნენ პოლიტიკურ მოთხოვნათა დონეზე დგომას და გარდუვალად ჩამორჩებოდნენ.

ვლადიმერ ილიას-ძეს მეტად სძაგდა გაზეთის მუშაკთა ყოვლისმცოდნეობა და გესლიანად დასცინოდა მათ, ვინც შჩედრინის არქივარიუსივით მუდამ მზად არის სთქვას: „გაგებით ვერ გავიგე, მაგრამ პასუხის გაცემა შემიძლიაო". ლენინს სძაგდა აგრეთვე სქემატიკოსები, რომლებსაც მუდამ მზა რეცეპტი აქვთ ყოველი ახალი რთული შემთხვევისათვის. ილაპარაკეთ არა მზა ფორმულებით, არამედ ილაპარაკეთ საკუთარი სიტყვებით, — მოითხოვდა ლენინი. ვლადიმერ ილიას-ძე მოხარული იყო, როცა შეხვდებოდა ემოციურ, გრძნობით გამთბარ სტრიქონებს, აფასებდა ადამიანებს, რომელთაც „ცეცხლი", „გატაცება" ახასიათებდათ. „ეს რა ხანია, რომ **აღშფოთებული** ტონი იმის წინააღმდეგ, რაც ცუდი, მავნე და მცდარია..., ვნებს ყოველდღიურ გაზეთს?? პირიქით, კოლეგებო, ღმერთმანი, პირიქით. საზიანო რამეზე „აღუშფოთებლად" წერა მომაბეზრებელ წერას ნიშნავს". (თხზ., ტ. XVI, გვ. 73).

ლენინი ყურადღებით ეკიდებოდა ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოვლენის განზოგადების ყოველ ცდას, მაგრამ ამავე დროს ილაშქრებდა ნაჩქარევი დასკვნების წინააღმდეგ. იგი განსაკუთრებით გულმოდგინედ გამოჰყოფდა დღევანდელი დღის ფაქტებს, რომლებშიც, თუმცაღა, უკვე მოსჩანდა ხვალინდელი დღე. ვლადიმერ ილიას-ძე სწერდა: „საზოგადოებრივ მოვლენათა დარგში იმაზე უფრო გავრცელებული და უფრო უსუსური ხერხი არ არის, ვიდრე **ცალკეული** ფაქტების ამოგლეჯა და მაგალითებით თამაში. მაგალითების შერჩევა საზოგადოდ არავითარ შრომას არ მოითხოვს, მაგრამ ამასთანავე ამას არც არავითარი მნიშვნელობა აქვს, ან აქვს მხოლოდ უარყოფითი მნიშვნელობა, ვინაიდან მთელი საქმეა ცალკეულ შემთხვევათა ისტორიული კონკრეტული ვითარება. ფაქტები, თუ მათ ავიღებთ **მთლიანად**, ერთმანეთთან **დაკავშირებულად**, არა მარტო „ჯიუტი", არამედ უთუოდ დამამტკიცებელი რამეა. პატარა ფაქტები კი, თუ მათ ავიღებთ ცალკეულად, ერთმანეთთან დაუკავშირებლად, თუ ისინი ნაწყვეტ-ნაწყვეტი და თვითნებურია, მხოლოდ სათამაშოს წარმოადგენენ ანდა კიდევ უარეს რამეს". („ლენინის კრებული", ტ. XXX, გვ. 303).

ხელმძღვანელობდა რა პარტიის ცენტრალურ ორგანოს, ლენინი იბრძოდა იმის წინააღმდეგ, რომ თანამშრომლები ერთი საზომით შეეფასებინათ, იბრძოდა ტრაფარეტის წინააღმდეგ. იგი, უწინარეს ყოვლისა, ზრუნავდა იმისათვის, რომ თავისებური ლიტერატურული სტილი, თანამშრომლის საკუთარი ლიტერატურული სახე არ წაშლილიყო, არ მიჩქმალულიყო რედაქტირების დროს. ეს უაღრესად მკაფიოდ არის ნათქვამი წერილებში ლუნაჩარსკისადმი. 1907 წლის ნოემბერში ლენინი, ეხება რა ლუნაჩარსკის ბროშურას, სწერს მას: „ჩვენ კოლექტიურად ვითათბირეთ, გადაგვემუშავებინა თუ შენიშვნა გაგვეკეთებინა წინასიტყვაობაში? გადავწყვიტეთ შენიშვნის გაკეთება, ვინაიდან გადამუშავება დასანანებელია: ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ერთობ დაირღვეოდა თხრობის მთლიანობა". („ლენინის კრებული", ტ. XXVI, გვ. 31). 1908 წლის 13 იანვრის წერილში ვლადიმერ ილიას-ძე კვლავ ხაზგასმით აღნიშნავს: „მისი „გასწორება" ყველამ ზედმეტად ჩავთვალეთ: ძალიან დასანანებელია ყველა თქვენი ფერების წაშლა და ცოცხლად დაწერილი სტატიის გაფუჭება". (იქვე, გვ. 34).

* * *

ჩვენ გავეცანით ლენინის, როგორც პუბლიცისტისა და რედაქტორის, მოღვაწეობის მხოლოდ მეტად მცირე ნაწილს. მაგრამ აქაც თვალნათლივ ჩანს ლენინის შრომის სტილის დამახასიათებელი ნიშნები: პარტიულობა, უსაზღვრო ერთგულება ხალხისადმი, მუშაობის უდიდესი კულტურა, მისი ორგანიზებულობა, გეგმიანობა და რევოლუციური გამოცდილების შემოქმედებითი განზოგადების უნარი.

ლენინის ყველა ამ თვისებას განასახიერებს ამხანაგი სტალინი. მაშ ვიმუშაოთ ისე, როგორც გვასწავლიან ჩვენი დიდი მასწავლებლები—ლენინი და სტალინი!

გ. ი. კრამოლნიკოვი
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი

*) სრულიად საკავშირო სალექციო ბიუროს დავალებით წაკითხული საჯარო ლექციის შემოკლებული სტენოგრამა.

პარტიული ცხოვრება

შესრულების შემოწმების ძალა

აპრილს შეა რიცხვებში თბილისს ენერგეტიკის სამეცნიერო ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ ღია კრება მოიწვია. განიხილეს კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. კრებამ საკირიო სენო ჩამოყალიბებულიყო ფაბრიკაში ხუთწლიანი გეგმის კანონის შესწავლელი წრეები, მოწყობილიყო ლექციები, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად შექმნილიყო წარმოებაში ახალი აგიტაცია, რომელიც ნარჩენებისაგან ტანსაცმელს დამზადებდა.

ამ გადაწყვეტილების განხორციელებაში ჩაება პარტიული აქტივი. ხუთწლიანი გეგმის კანონის შესასწავლელ წრეებია მოწყობა კომუნისტმა ამბ. ა. ებანოძემ დაეკალა. წრეში მეცადინეობის სერიალი 88 ამხანაგმა გაატარა. წრეები დაკომპლექტდა მსმენელთა მომზადების დონის მიხედვით. პარტორგანიზაციის გადაწყვეტილებიდან 3 დღის შემდეგ წრეები უკვე შეუდგნენ მუშაობას. პარტიულო ხელმძღვანელობას და დამბარებას უწევდა მეცადინეობის მიმდინარეობა, ამოწმებდა პროპაგანდისტის მუშაობას, აძლევდა მათ საჭირო მითითებებს. წრეებში უკვე შვიდი მეცადინეობა ჩატარდა.

გაიზარდა მუშების პოლიტიკური ჰორიზონტი და საწარმოო აქტივობა. მაგალითად, თუ წრეში მეცადინეობის დაწყებამდე უპარტიო მუშები არუთინოვა, გელაშელი და ნადარეიშვილი ნორმებს 80-90 პროცენტით ასრულებდნენ, ახლა 250-300 პროცენტით ანადგენენ ყოველდღიურ დავალებებს. მუშაობის სიტკეთესო ნიმუშებს იძლევიან კომუნისტები ანა მერაბოვა, თამარ კიკნაძე, ვერა კასრაძე, ლუბა ვარდოსანიძე, ქეთევან უროტაძე, თამარ ბაღდაური, სიმონ აბრამია და სხვები.

პარტიული კრების დადგენილებით ახალი აგრეგატის მოწყობა დაეკალა ფაბრიკის ტექნიკურ ხელმძღვანელს კომეფნისტ ო. სიჭინავას. აგრეგატი 15 მაისისათვის მზად უნდა ყოფილიყო. ამბ. სიჭინავა ბევრ ისეთ დაბრკოლებას წააწყდა, რომლებიც დანიშნული დროისათვის აგრეგატის ამოქმედებას აფერხებდნენ. ფაბრიკას საჭირო ოთოდენობით არ აღმოაჩნდა საკერავი ძაფები. მწყობრიდან გამოსული ძაფებები მექანიკურ სახელოსნოში უკვარგისად მიიჩნიეს. ახალი აგრეგატისათვის სრულებით არ იყო მუშა ხელიც. ამ დაბრკოლებათა დაძლევაში ამბ. სიჭინავას დაეხმარა პარტიული ორგანიზაცია, პირადად მისი მდივანი ამბ. ალაქიძე.

საკითხი განხილულ იქნა სახელოსნოს მუშათა საწარმოო თათბირზე. გამოარკვიეს, რომ უკარგისად ცნობილი ძაფებიანები შეკეთება შეიძლებოდა. სამეშოთა შეხვედრა სახელოსნოს კომუნისტებსა მერაბოვსა, აფაზიაშვილსა, ლაფაჩაძეს და დილარიანს იკისრეს. ვალდებულება მათ ვადამდე შეასრულეს. მოგვარდა მუშახელის საკითხიც. ქარხნის კომეფნისტებმა და კომკავშირელებმა ფაბრიკაში მოიყვანეს 9 კვალფიციერი მკერავი. მალე ახალ აგრეგატში მანქანები დადგეს. პარტიული კრების გადაწყვეტილება ხუთი დღის ადრე შესრულდა — აგრეგატი 10 მაისს ამუშავდა. წარმოების ნარჩენებისაგან ამკადან იგი მაუსობრივად ამზადებს ტანსაცმელს ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებისათვის.

პარტიული ორგანიზაცია ღრმად სწვდება საწარმოო საკითხს. ღია პარტიულმა კრებამ ამასწინათ მოსმენა ფაბრიკის დირექტორის ამბ. გ. ბუნიოვის მოხსენება პროდუქციის ხარისხის შესახებ. აღინიშნა, რომ მეორე საამქროს ზოგიერთი აგრეგატი არასტანდარტულ პროდუქციას უშვებს. განსაკუთრებით ცუდად მუშაობს აგრეგატი, რომელსაც ოსტატი ქარაზანაშვილი ხელმძღვანელობს. საამქროს პარტიული ორგანიზაცია დაინტერესებული არ არის პროდუქციის ხარისხით, არ ჰყავთ წუნმდებელი. ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დაასახა ღონისძიებანი. საამქროს მიბაგრეს კომეფნისტი ა. გაბრიელოვი. მიღებული ზომების შედეგად ნაკლოვანებანი აღმოიფხვრა. ამჟამად საამქროს მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებს.

ასე თანმიმდევრულად ზრარეიღლდება პირველი სამკერვალო ფაბრიკის პარტორგანიზაციაში თვითეული დადგენილება, თვითეული ღონისძიება, ვინაიდან სერიოზული ყურადღება ექცევა შესრულების შემოწმებას. წარმოების 264 კომეფნისტიდან ყველას მიეცმული აქვს მუშაობი ან ერთფლიული დავალება. ამ დავალებათა შესრულების შემოწმებით იზრდებინან ადამიანები, მატულობს მათი პასუხისმგებლობა.

დიდია კარგად დაყენებული შესრულების შემოწმების ძალა. იგი ხელს უწყობს კოლეტივის საწარმოო წარმატებებს. აპრილის დავალება ფაბრიკამ 131 პროცენტით შეასრულა, ამასთან 6.100 მეტრი ქსოვილი დაზოგა. წარმატებით იმუშავა ფაბრიკამ მაისშიც.

სამეცნიერო აგრეგატები, რომლებსაც კომეფნისტები ქსენია პატარაია, თამარ კაიშაური და ქეთი შავლაყაძე მეთაურობენ 150-200 პროცენტით ასრულებენ ყოველდღიურ გეგმებს. სტახანოველი კომეფნისტები თამარ ხეოვაშეილი, მარგარეტა ლობაძე, ნინო დათუაშვილი, ვეფრა ოლქიაშვილი, ნადია მერრელია, ანა ბოიკოოვა თაკაანთ მაღალსაყოფიერი შრომით იაზსავენ ფაბრიკის მუშებს ფართო მოზმპრების პროდუქციის სიუხვისათვის, მეოთხე სტალინური ხუთწლიანის პირველი წლის დავალებათა წარმატებით გასანღდმლად.

ა. ნინუა

აბრეშუმის პარკის უხვი მოსავალი

წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯგალის კოლეტიურნეობის წევრმა ციცინო ბარჩილავამ ცხრა გრამ აბრეშუმის თესლიდან 28 მაისს სახელმწიფოს ჩააბარა 55 კილოგრამი პირველი ხარისხის პარკი. ამ წარმატებას წარჩინებულმა მებრეშემემ მიაღწია იმიტომ, რომ სანიმუშოდ მოუარა ჭიას, დღეღამეში ჰკვებავდა 10-ჯერ, ყოველთვის იცავდა ნორმალურ ტემპერატურას.

აბრეშუმის პარკის ბალალი მოსავალი მიიღეს აგრეთვე სოფელ ობჯიკის მოლოტოვის სახელობის კოლეტიურნეობის მეაბრეშემემ ელისაბედ ფიფიას და კოლეტიურნეობა „გადამწყვეტის“ კოლეტიურნეებმა კაციან და კაკაჩიან.

თბილისი, კალინინის სახელობის ქარხნის სოციალისტური ზეიმისალი ვ. გამრეკელი (მარცხნივ) და მისი თანამშემწე რ. დემბატარშვილი კრამიტის საკალიბე საწნეხებთან გამოშვებაზე.
ფოტო რ. აკოფოვისა

ᲕᲧᲕᲐᲠᲩᲔᲚᲘᲡᲘ ᲛᲔᲛᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲗ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲑᲐᲡᲔᲚᲔᲑᲘᲡ

ᲢᲧᲣᲐᲠᲩᲔᲚᲘ („ᲙᲝᲛᲔᲤᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲒᲐᲜ). დონბასის მუშახტეთა პატრიოტულმა ინიციატივამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ტყვარჩელელ მეშახტეებში. ინიციატორულად ჩაებნენ მეშახტეთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრეს ვადადე გადამეტებით შესასრულონ მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირველი წლის გეგმა.

სტალინის შახტის მუშათა მიტინგზე სტყვეთი გამოვიდა პარტორგანიზაციის მდივანი ამბ. ა. ცაცა.

— სტალინის ოლქის მეშახტეები,— სთქვა ამბ. ცაცამ,—მოგვიწოდებენ ყოველდღიურად ვავადოდთ ქვანახშირის ამოღების ტემპები. თავდადებულ, დაუღალავ შრომა გეგმების გადამეტებით შესასრულებისათვის, — ასეთი უნდა იყოს ჩვენი პასუხი სტალინელი მეშახტეებისადმი.

ტრიბუნაზე ავიდა ბრიგადირი ამბ. ზაკატანი.

-- ჩვენი ბრიგადა,—ამბობს იგი,— იმ დღეებში შეიქმნა, როდესაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია იხილავდა ხუთწლიან გეგმას. ჩვენ მაშინ ვალდებულება ვიკისრეთ თვალი ძალიან გვეფშავნა ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის. ამ პირობას ვასრულებთ. ახლა ბრიგადის სახელით ვაცხადებ, რომ ყოველდღიურ დავალებას 130 პროცენტით შევასრულებთ.

პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა ბრიგადირი ალიბეიევი, მბრეველი ბოგატერიოვი, უბნის უფროსი იაკოლევი და სხვები, რომლებმაც იკისრეს გეგმის გადაჭარბებით მოსცეს საშობლოს ათასობით ტონა ქვანახშირი.

სტალინის სახელობის მაღალრომ შეასრულა მაისის გეგმა

ᲞᲘᲐᲢᲣᲠᲐ („ᲙᲝᲛᲔᲤᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲒᲐᲜ). ჭიათურის მარგანეცის ტრესტის სტალინის სახელობის მაღარომ (დირექტორი მ. ქასტალინის სახელობისა და № 2 შახტის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც კოლექტივმა: 1) ადამდე შესასრულონ ქვანახშირის მოპოვების 1946 წლის გეგმა; 30 პროცენტის გადამეტებით გაანადგონ სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა 1946 წლის ტაკალება, 110 პროცენტით—კაპიტალურ სამუშაოთა დაკალება; 2 პროცენტით შეამცირონ ქვანახშირის ნაკრიანობა; 3 პროცენტით გაადიდონ ნარჩენების ნაყოფიერება; ყამწყონ 300 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ეკონომია; 6 პროცენტით შეამცირონ ქვანახშირის ოფთოღირებულება; სამეფენო წესით აიგონ 4 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საბინაო და კულტურულ დაწესებულებათა შენობები, მოამზადონ წყმეფანი პროფესიების 135 კაცი.

ნაკრარ ვალდებულებებს მუშახტეები პირნათლად ანადგენენ. სტალინის სახელობის შახტის ექვსმა ებანმა 27 მაისს შეასრულა თვიური საწარმოო გეგმა. № 2 შახტის კოლექტივს 28 მაისისათვის გეგმა შესრულებული ქონდა 105 პროცენტით, ხოლო მთლიანად ტყვარჩელქანახშირის ტრესტმა ქვანახშირის მოპოვების თვიური დავალება ამავე დღეს 100,5 პროცენტით გაანადგა. ვადამდე შესრულდა სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა და ქვანახშირის ტრანსპორტირების თვიური დავალებებიც.

— მიეცეთ მეტი ქვანახშირი სამშობლოს, ვადამდე შეასრულოთ მეოთხე სტალინური ხუთწლედი, — ამ ლოზუნგით ჩადგება სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ტყვარჩელელ მეშახტეთა შორის.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲙᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

30 მაისს შესდგა საქართველოს ალკა თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება, მიძღვნილი საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის XV და საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმების მედეგების განხილვისადმი.

აქტივის კრებამ საპატიო პრეზიდიუმში მჭუხარე ოვაციით აირჩია საკავშირო კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო დიდი **სტალინის** მეთაურობით.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში თბილისის კომკავშირელთა ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამბ. მ. ბალავაძე.

— დედაქალაქის ახალგაზრდობამ, — ამბობს ამბ. ბალავაძე, — ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმა მიიღო როგორც საბრძოლო პროგრამა. კომკავშირელები, ახალგაზრდები უდიდეს ალმაცლობით შეუდგნენ ხუთწლედის დასახულ დიად ამოცანათა განხორციელებას.

ფართოდ გაიშალა ხუთწლიანი გეგმის კანონის პოპულარიზაცია. კარგად სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა სამკავშირელი აგიტატორები სისტემატურად ატარებენ საუბრებს, ახალგაზრდობას უამბობენ ედიდ გეგმაზე, დაწერილებით მოეთხრობენ რესპუბლიკისა და თვით მთელ ქარხნის პერსპექტივებზე. ბევრი აგიტატორი პირადი მაგალითით რაზმავს ახალგაზრდებს ახალ საწარმოო წარმატებების მოპოვებისათვის. კომკავშირელთა ინიციატივით მოწყობილი ლექციები, მოხსენებები, საუბრები იღებენ ზრდიან ახალგაზრდობას. ქარხანაში მალალი ახალგაზრდობის საწარმოო აქტივობა. ამ ერთ აპრილს ერთ ისეთ კომკავშირელ, რომელიც გეგმას დიდი გადაჭარბებით არ ასრულებდეს.

ხუთწლიანი გეგმის შესწავლა და მისი შესრულებისათვის ახალგაზრდობის მობილიზაცია კარგად არის დაყენებული თბილისის საორთქლმავლო ფაბრიკა და მრავალ სხვა საწარმოებში.

მომმსენებელი მკაცრად აკრიტიკებს ორკონიკიძისა და დიმიტროვის სახელობის ქარხნებს, ბერიას სახელობის ფეხსაცმლისა და მაუდის ფაბრიკებს საწარმოთა კომკავშირული ორგანიზაციებს. ამ საწარმოებში არადამაკმაყოფილებლად ეწევიან ხუთწლიანი გეგმის კანონის პოპულარიზაციას. კომკავშირელმა ორგანიზაციებმა ვერ შეარჩიეს აგიტატორთა და პროპაგანდისტთა სათანადო კადრები, ხოლო რიაკოვმებიც მათ სათანადოდ არ ეხმარებიან.

ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 28 მაისისათვის ჩაის ფოთლის კრეფის თვიური დავალება 101,2 პროცენტით შეასრულეს. მოკრეფილია 910,2 ტონა პირველი ხარისხის ჩაი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 899,4 ტონისა.

გეგმების შესრულებაში თავი ისახელეს ნატანების, შრომის, ჯუმათის, ენგენჯათის, ბერიანთის, ფამფალეთის, ოხინგალის, სილაურის, ვაკიჯვრის, ძმითის კოლმეურნეობებმა.

ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობას 28 მაისისათვის გეგმა შესრულებული ჰქონდა 120 პროცენტით.

ᲙᲘᲚᲐᲣᲗᲘ

რამის ნაცვლად მოკრეფილია 628.082 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის ფოთლი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲙᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ

ᲛᲝᲛᲮᲡᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲕᲘᲑᲠᲫᲝᲚᲝᲗ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მიერ დამტკიცებული კანონი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ მთელი ჩვენი ხალხის საბრძოლო პროგრამას წარმოადგენს. ხუთწლიანი გეგმა შედგენილია დიდი სტალინის დიდი ბოლშევიკი ხალინი ლენინ-სტალინის ალმაფრთოვანებით. თავის ისტორიულ სიტყვაში ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო კრებაზე ამხანაგმა სტალინმა ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები ასე განსაზღვრა:

„ახალი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები ის არის, რომ აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღვადგინოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ობამდელი დონე და შემდეგ ადაჯარბოთ ამ დონეს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ოდენობით“.

ამ ამოცანათა შესრულებისათვის მთელ ჩვენს ქვეყანაში გაიშალა საყოველთაო სახალხო ლაშქრობა. წარმატებით სრულდება მიმდინარე წელი — ახალი ხუთწლედის პირველი წლის თვიური და კვარტალური დავალებანი.

მიმდინარე სტალინური ხუთწლედი სერიოზულ ამოცანებს უსახავს ჩვენი რაიონის შრომელებსაც. ესმით ამ მთელი მნიშვნელობა ამ ამოცანების შესრულებისა, პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართო საგაზეთო-პროპაგანდისტული მუშაობა გაგაჯალს ხუთწლიანი გეგმის პოპულარიზაციისთვის. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მიზანი ის არის, რომ ეფექტ ოფრო მტკიცედ დაეარაზოთ ამოცანათა შესასრულებლად. ხუთწლიანი გეგმის კანონის სწავლება პირველ რიგში მოეწყო პარტიული აქტივისათვის. შექმნილია სპეციალური პოლიტწრეკი, ეკითხება ლექციები და მოხსენებები. მარტო აპრილსა და მაისში კოლმეურნეობებსა და საწარმოებში 104 ლექციათ და მოხსენება ჩატარდა. რაიონის 500-ზე მეტი აგიტატორი ყოველდღიურ ახსნაგანმარტებითს მუშაობას ეწევა შრომელთა შორის. მოამზესენებელთა და აგიტატორების დასახმარებლად პარტიულ კაბინეტში მოწყობილია ხუთწლიანი გეგმისადმი მიძღვნილი გამოფენა. სისტემატიურად ეწყობა ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები. ხუთწლიანი გეგმის საკითხებს აშუქებს რაიონული და ძირეული პრესა, კლუბები, ეროსკოთხეკეთები, რადიო.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები სათვეში ეედგანან მთელ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას და შრომელთა აქტივობას წარმართავენ ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

ახალი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობებსა, ბრიგადებსა და რგოლებში. დღითიდღე მრავლდება სტახანოველთა რიგები.

ხუთწლიანი გეგმა რაიონს ბევრ რამეს ავალებს სუბტროპიკული კულტურების განვითარების დარგში. ეხლა გაშენდა 390 ჰექტარი ციტრუსები, ათ შორის 350 ჰექტარი ხანდარანი და ოკ-ოცი ჰექტარი ფორთოხალი ფილმონი. ამ ფაქტებმა შესასრულებლად მუშაობა ფართოდ არის გაშლილი. რაიონის შრომელებმა იკისრეს ციტრუსოვანი კულტურების გაშენები. ხუთწლიანი გეგმა 4 წელში შესასრულოს. ამ მიზნით მოწყობილია 5 ჰექტარი სანერგე, რომელიც კარგად არის მოვლილი. მზადდება ნიადაგი ციტრუსების დასარგავად.

ტექნიკური კულტურების ახალი პლანტაციების გაშენებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა არსებული ნარგავების მოვლას და მათი მოსავლიანობის ამაღლებას. აგრონულესების ზუსტად დაცვით ჩატარდა პლანტაციების შებარვა. ნიადაგში შეტანილია ბინერალური და ორგანული სასუქები. ჩატარდა ნეკნარითა წამლობა. ყველა პირობა არის შექმნილი იმისათვის, რომ წელს მიეღოთ ციტრუსების ეხვი მოსავალი, გადაჭარბებით შეეასრულოთ დაბზადების სახელმწიფო გეგმა.

ციტრუსოვანი კულტურების ნოვლის სანერგეში მოწონავეა ბუკისციხის ბაკურძის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ნ. გურეჯიანი). პლანტაციებში საკმაოდ ფ. დროულად შეტანილია ფოსფორიანები და აზოტოვანი სასუქები და ნაკელი. კოლმეურნეობა წელს სახელმწიფოს 200 ათას ცალ ციტრუსოვანთა ნაყოფს მისცემს. კარგად აჭეთ მოვლილი ციტრუსები აგრეთვე ძირგანლების ნოვლინის სახელობის (თავმჯდომარე ნ. დოლიძე) და შუაგანახლების ბერიას სახელობის (თავმჯდომარე შ. ჯიბლაძე) კოლმეურნეობებს.

ჩაი ჩვენს რაიონში ერთ-ერთი ძირითადი კულტურაა. მას 1.635 ჰექტარი უჭირავს. წელს ჩაის პლანტაციები გაცილებით უკეთესად არის ოვალული, ვიდრე წინათ. დაპარვა დროულად ჩატარდა. ყველა მოსავლიან პლანტაციაშია შეტანილი ფოსფორიანი და აზოტოვანი სასუქები. ამის შედეგად მოსავალს კარგი პირი უჩანს. სახელმწიფოსადმი ეკვე ჩაბარებულია 120 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. კოლმეურნეობებმა იკისრეს წელს ჩაის ფოთლის დაბზადების სახელმწიფო გეგმა 10 პროცენტის გადაეტებით შეასრულონ.

1946-1947 წლებში უნდა გავაშენოთ ძვირფასი ტექნიკური კულტურის — ტუნგოს 92 ჰექტარი პლანტაცია. შემოდგომაზე დაირგება ბეკონი ეფკალიპტი, თხილი, ხელი მოყვიდეთ თამბაქოს კულტურას. წელს გეგმით 150 ჰექტარ თამბაქო დაირგებენ. ამ დავალებათა შესრულებისათვის პატრიოტულ ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებმა სერიოზული მუშაობა ჩაატარეს. განსაკუთრებით ეს ითქმის თამბაქოზე. დროულად მოწყობილია თამბაქოს საფენრგეები, გადაბრუნებულია სათამბაქოე ნიადაგი და შეტანილია მინერალური სასუქები. ფართო მუშაობა გაჩაღებული თამბაქოს ახალი საშრობი ფარდულების აშენებენაზე. ეთელ რიგ კოლმეურნეობებში თამბაქოს გადარგვა უკვე დაწყო. კოლმეურნეობები ქეშნის პირველებს თამბაქოს მაღალი მოსავლის მოსალებად.

წელს კოლმეურნეობებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზულად მოჰკიდეს ხელი მებარეშემეობის განვითარების საქმეს. კარგად მოფელილი თეთის პლანტაციები, ყეფრადღება ექცევა ახალი ხეების გაშენებას. ეფექრობთ, პარეს მოსავლიანობის ხასელწიფო გეგმას ფარამტებით შეეასრულებთ.

ამ გეზაფხეულზე რაიონში დაითესა 4.300 ჰექტარი სიმინდი, 200 ჰექტარი კარტოფილი, 600 ჰექტარი სოია, 200 ჰექტარი ლობიო. დამატებით ათვისებული 400 ჰექტარი ყამირი. ახლა კოლმეურნეობა ამოცანა ის არის, რომ კარგად მოეკრონ ნათესებს, ზუსტად შეასრულონ აგროწესები, მიიღონ ამ კულტურათა უხვი მოსავალი.

შრომის ორგანიზაციის კარგად დაყენების შედეგად რაიონის ბევრი კოლმეურნეობა დაწინაურდა. სოფელ ძირგანახლების ლენინის სახელობა კოლმეურნეობა, რომელსაც ორეფნსანი ნოე დოლიძე ხელმძღვანელობს, სამამეული ომის პერიოდში მილიონერი გახდა. კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინა მტკიცეა, მზრუნველობით ეფელან ციტრუსებსა და ჩაის, ტაცია. შემოდგომაზე დაირგება ბეკონი ეფკალიპტი, თხილი, ხეული. ხელი მოეკიდეთ თამბაქოს კულტურას. წელს გეგმით 150 ჰექტარ თამბაქო დაირგებენ. ამ დავალებათა შესრულებისათვის პატრიოტულ ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებმა სერიოზული მუშაობა ჩაატარეს. განსაკუთრებით ეს ითქმის თამბაქოზე. დროულად მოწყობილია თამბაქოს საფენრგეები, გადაბრუნებულია სათამბაქოე ნიადაგი და შეტანილია მინერალური სასუქები. ფართო მუშაობა გაჩაღებული თამბაქოს ახალი საშრობი ფარდულების აშენებენაზე. ეთელ რიგ კოლმეურნეობებში თამბაქოს გადარგვა უკვე დაწყო. კოლმეურნეობები ქეშნის პირველებს თამბაქოს მაღალი მოსავლის მოსალებად.

წელს კოლმეურნეობებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზულად მოჰკიდეს ხელი მებარეშემეობის განვითარების საქმეს. კარგად მოფელილი თეთის პლანტაციები, ყეფრადღება ექცევა ახალი ხეების გაშენებას. ეფექრობთ, პარეს მოსავლიანობის ხასელწიფო გეგმას ფარამტებით შეეასრულებთ.

ამ გეზაფხეულზე რაიონში დაითესა 4.300 ჰექტარი სიმინდი, 200 ჰექტარი კარტოფილი, 600 ჰექტარი სოია, 200 ჰექტარი ლობიო. დამატებით ათვისებული 400 ჰექტარი ყამირი. ახლა კოლმეურნეობა ამოცანა ის არის, რომ კარგად მოეკრონ ნათესებს, ზუსტად შეასრულონ აგროწესები, მიიღონ ამ კულტურათა უხვი მოსავალი.

შრომის ორგანიზაციის კარგად დაყენების შედეგად რაიონის ბევრი კოლმეურნეობა დაწინაურდა. სოფელ ძირგანახლების ლენინის სახელობა კოლმეურნეობა, რომელსაც ორეფნსანი ნოე დოლიძე ხელმძღვანელობს, სამამეული ომის პერიოდში მილიონერი გახდა. კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინა მტკიცეა, მზრუნველობით ეფელან ციტრუსებსა და ჩაის, დროზე და გადაჭარბებით ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ყველა გეგმას. მუშაობის კარგ მაგალითებს ეკეთებენ აგროთეგ ბეკონიკიძის ბაკრაძის, სამების ეორონილოვის, შუაგანახლების ბერიას, გორაბერეკეულის მოლოტოვის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობები.

საკოოპერაციო პარტიული ორგანიზაციები დღითიდღე აუმჯობესებენ თავიანთ საქმიანობას, აძლიერებენ კოლმეურნეობის გაბეიბის მუშაობისადმი კონტროლს. გაბეიბრალად ბორდება კომუნისტების ავანგარდული როლი. მოეიყვანთ მაგალითს. ზეპოფარაშვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობია პარტორგანიზაციაში (პარტბიუროს მდივანი ნ. ცინცაძე), ირიცხებიან ძველი ბოლშევიკები, რომლებიც, ბიუნდოვან ბოლშევიკები, ეთუნეზიაზმით მუშაობენ. 81 წლის მოხუცმა გოგლასი ჩხიკვაძემ შარშან 236 შრომადღე გამოიმუშავა. 79 წლის ასალო ცინცაძემ — 218, 78 წლის ალექსანდრე ცინცაძემ — 251, 68 წლის ტარასი შეგრელიშვილმა—386, 66 წლის კალენიკე ცინცაძემ — 338, 64 წლის კაპიტონ ცინცაძემ — 259 და 69 წლის შერმანდი ცინცაძემ — 147 შრომადღე. ისინი წელსაც მათივეს ჩვენი თავდადებით შრომობენ. ამავე კოლმეურნეობაში სამდაილითოდ მუშაობს კომეფნისტი ქალი მეტია ცინცაძე. მისი თავდადებული შრომა ღირსეულად შეაფასეს ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ — წელს „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოვეს.

პარტიის რაიონული კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს საკოოპერაციო პრეზიდიუმი პარტორგანიზაციების ზრდასა და გაკეპკეცებას. მარტო ამ უკანასკნელ დროს 11 კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა პარტიული ორგანიზაცია. დღითიდღე იზრდება პარტიის რიგები ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის თავდადებული ადამიანებით. ახალმიღებულთა აღზრდისათვის გაცხოველებული მუშაობა სწარმოუეს. ბევრი მათგანი სწრაფად აზრდება და იმსჯელებს ყურადღებიანს. მაგალითად, პარტიაში ახალმიღებული ნერაპოონ ჩანტლაძე სოფელ თავპატიის კოლმეურნეობის თავმჯდომარეად იქნა დაწინაურებული. მისი ენერგიული საქმიანობა ძალე გამოჩნდა. კოლმეურნეობამ გაიუმჯობესა მუშაობა, ვადამდე შეასრულა საგაზაფხულო თესვის გეგმა და სხვა დავალებანი.

სოფლებს ყოველდღიურად ემატება წითელი არმიიდან დემობილიზებულთა ახალ-ახალი კადრები. ამჟამად რაიონში 639 დემობილიზებულია. მათგან 12 კოლმეურნეობის თავმჯდომარეად არის დაწინაურებული, 5 — სასოფლო ბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. დემობილიზებულები ყველგან იძლევიან დისციპლინის, ორგანიზებულობისა და საქმისადმი თავდადების მაგალითებს. განსაკუთრებით გამოირჩევან მ. ოსეფაშვილი (დაბალაცის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), ს. სიხარულიძე (ბუკისციხის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), ს. მეფარიშვილი (ქვემონის ეორონილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), გ. კალანდაძე (ბეშეფიის ორკონიკიძის სახელობის კოლეეურნეობის თავმჯდომარე).

ჩოხატაურის რაიონის ბოლშევიკები, ლენინურ-სტალინურ სტილზე აღზრდილნი ამხანაგ ბერიას მერი, საქართველოს. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ყველფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ მიმდინარე წლის ვალალებანი, მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მეოთხე ხანალური ხუთწლედის ეკონომიკურ ამოცანათა ამოხსნისა.

ᲨᲐᲠᲐᲤᲘᲜ ᲯᲘᲜᲩᲐᲠᲐᲫᲔ

საქართველოს კ. პ. (ბ) ჩიხატაურის რაიონის მდივანი

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

27 მაისის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 27 მაისი. (საქინფორმი). ტრიბუნალის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდებულ შირახის დაკითხვა. ბრალდების საბჭოთა წარმომადგენელმა ამხ. ალექსანდროვმა მოიყვანა ორგანიზაცია „ჰიტლერიუგენდის" ერთ-ერთი წევრის ჩვენება ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩადენილ ბოროტმოქმედებაში ამ ორგანიზაციის მონაწილეობის შესახებ. ბრალმდებელი არკვევს, რომ ასეთ მხეცობაში გერმანელი ახალგაზრდობის მონაწილეობა გამოწვეული იყო „ჰიტლერიუგენდში" მისი სათანადოდ აღზრდითა და მომზადებით.

ადვოკატ ზაუტერის რამდენიმე დამატებითი კითხვის შემდეგ შირახის მოკლე დაკითხვას აწარმოებს ტრიბუნალის თავმჯდომარე ლორენსი. ამით მთავრდება ბრალდებულ შირახის ჩვენება.

მოწმის პულტთან ადგილს იკავებს დამცველ ზაუტერის მიერ გამოწვეული მოწმე ლაუტერბახერი. მოწმე ამჟამად 37 წლისაა, მაგრამ იგი უკვე 13 წლისა შესულა ფაშისტ ჰაბუკთა ორგანიზაციაში. 18 წლიდან იგი ხელმძღვანელ პოსტებზე მუშაობდა ჰიტლერული ახალგაზრდობის ორგანიზაციაში. უპასუხებს რა დამცველ ზაუტერის კითხვებზე, ეს მოწმე, რომელიც 6 წლის განმავლობაში შირახის მარჯვენა ხელი იყო, ზუსტად იმეორებს თავისი ყოფილი შეფის ჩვენებას და იცავს მას.

ამ მოწმის ვინაობა სავსებით ირკვევა, როცა ჯვარედინ დაკითხვას იწყებს ბრალდების ამერიკელი წარმომადგენელი დოდი. უპასუხებს რა ბრალმდებლის კითხვებზე, ლაუტერბახერი აღიარებს, რომ უკვე 1934 წლიდან იგი სა-ს გრუპენფიურერი იყო, ხოლო 1940 წლიდან სს-ის ბრიგადენფიურერი გახდა, მაგრამ „ჰიტლერიუგენდის" ეს აღზრდილი ორჭოფულ ან უარყოფით პასუხს იძლევა ბრალმდებლის კითხვებზე, რომლებიც დაკავშირებულია მის საქმიანობასთან ჰანოვერში. ბრალმდებელი კი არკვევს, რომ გაულაიტერად ყოფნის დროს ლაუტერბახერი საკონცენტრაციო ბანაკებში გზავნიდა ადამიანებს. მან ჩამოახრჩო 15 მეში აღმოსავლეთი ოლქებიდან საჯარო ადგილას—ბაზარში, ბრძანება გასცა 5 ათასი პატიმრის დახვრეტისა თუ მოწამვლის შესახებ 1945 წლის გაზაფხულზე, მოკავშირეთა ძალების მიერ ჰანოვერის დაკავების წინ.

დამცველ ზაუტერის გამოწვევით დარბაზში შემოჰყავთ მეორე მოწმე—გუსტავ გეპკენი, რომელიც ჰიტლერული ახალგაზრდობის ორგანიზაციაში იმყოფებოდა 1933 წლიდან. ამ მოწმის დაკითხვით მთავრდება ტრიბუნალის საღამოს სხდომა.

28 მაისის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 28 მაისი. (საქინფორმი). დღეს დილის სხდომის დასაწყისში ტრიბუნალმა განიხილა დაცვის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ გამოწვეულ იქნან მოწმეები და გამოთხოვილ იქნას დოკუმენტები ბრალდებულ მარტინ ბორმანის საქმეზე, რომელსაც დაუსწრებლად ასამართლებენ. ბრალდებულის დამცველმა განაცხადა, რომ ბორმანი ალბათ მკვდარია და ამიტომ მისი საქმე შეიძლება არ გაირჩეს. ტრიბუნალი არ დაეთანხმა დამცველის ამ განცხადებას და განაგრძო განხილვა დოკუმენტებისა ბორმანის საქმის გამო.

ამის შემდეგ ტრიბუნალი განაგრძობს ბრალდებულ შირახის საქმის მოსმენას. ადვოკატი ზაუტერი განაგრძობს მოწმე გეპკენის დაკითხვას. ისევე როგორც წინა სხდომაზე, ეს მოწმე ყოველნაირად აქებს თავის ყოფილ ბატონს.

შემდეგ მოწმის დაკითხვას იწყებს ბრალმდებელი დოდი. იგი, უწინარეს ყოვლისა, ცდილობს გამოარკვიოს, სად, როდის და ვის გაგზავნა ვენის გაულაიტერ შირახის მთელი არქივი. როგორც ცნობილია, ეს არქივები მოკავშირეთა ჯარებმა იპოვნეს მარილის მაღნის ერთ-ერთ შტოლნში. მოწმე გეპკენი, მიუხედავად იმისა, რომ იგი შირახის კანცელარიის უფროსი იყო და უნდა სცოდნოდა მეტი, ვიდრე სხვა ვინმეს ყველა დოკუმენტის შესახებ, თავს იკატუნებს არაფრის მცოდნედ.

დილის სხდომაზე, ხანმოკლე შესვენების შემდეგ ტრიბუნალმა გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება დაცვის შუამდგომლობის გამო ბრალდებულ ბორმანის საქმეზე მოწმეთა გამოწვევისა და დოკუმენტების გამოთხოვნის შესახებ.

ამის შემდეგ სასამართლოს დარბაზში გამოიძახეს შემდგომ მოწმეს ბრალდებულ შირახის საქმის გამო—ფრი ვისჰოფერს. ეს ბრალდებულ შირახის ერთ-ერთი ყოფილი დაახლოებული ადიუტანტია. ჯერ კიდევ 1938 წელს იგი შევიდა ჰიტლერულ პარტიაში, 1940 წელს მსახურობდა სს-ის ჯარებში, შემდეგ კი გახდა იმპერიის ახალგაზრდობის ხელმძღვანელობის წევრი და მჭიდროდ თანამშრომლობდა პირადად შირახთან.

ვისჰოფერი წინა მოწმის მსგავსად ყოველნაირ ქება-დიდებასასხამს შირახის ვითომდა სათნოებას.

ლაპარაკობს რა მაუტჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში შირახის მისვლის შესახებ, სიცრუეში ჩაფლული „მოწმე" საჩაცილოდ აცხადებს, თითქოს ამ ჰიტლერულ ჯურღმულში ბრალდებულმა იხილა კარგი მოპყრობა პატიმრებისადმი და „აღტაცებული იყო სიმფონიური ორკესტრის დაკვრით".

დილის სხდომის დასასრულ მოწმეს რამდენიმე შეკითხვა მისცეს ბრალმდებელმა დოდმა და მოსამართლე ბიდლმა. ამით დამთავრდა ბრალდებულ ბალდურ ფონ-შირახის საქმეზე ჩვენებათა მოსმენა.

28 მაისის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 28 მაისი. (საქინფორმი). თავის 28 მაისის საღამოს სხდომაზე ტრიბუნალი შეუდგა ბრალდებულ ზაუკელის საქმის მოსმენას. თავისი დამცველის ადვოკატ სერვატიუსის თხოვნით ზაუკელი დაწვრილებით ჰყვება თავის ბიოგრაფიას. ფაშისტურ პარტიაში იგი შევიდა 1927 წელს და უკვე ორი წლის შემდეგ გახდა ფაშისტური ხელმძღვანელი ტიურინგიაში. ჰიტლერელთა მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ ბრალდებული დანიშნულ იქნა სამხედრო მთავარმართებლად ტიურინგიაში, ეგრეთწოდებული რაიხსტაგის წევრად, სს ობერგრუპენფიურერად. საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის ცოტა ხნის შემდეგ ზაუკელი დანიშნულ იქნა მუშახელის მობილიზაციისა და გამოყენების გენერალური რწმუნებულის პოსტზე.

ეს პარწყვარცხილი ჰიტლერელი, რომელმაც მოაწყო მილიონობით უცხოელ მუშათა წაყვანა ფაშისტურ კატორღაში, თავისი საქმიანობის შესახებ ჩვენების მიცემისას ყოველნაირად აქებ-ადიდებს თავის ვითომდა ლოიალობას პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ და თავის თავს სიმართლისა და სამართლიანობისათვის მებრძოლადაც კი სახავს.

ჩვეულებრივი ხანმოკლე შესვენების შემდეგ დამცველი იწყებს ზაუკელის დაკითხვას მისი, როგორც მუშახელის მობილიზაციის რწმუნებულის, საქმიანობის შესახებ. ამ თანამდებობაზე ბრალდებული ემორჩილებოდა მხოლოდ გერინგსა და ჰიტლერს, ამასთან განკარგულებებს ხშირად უშუალოდ თვით ჰიტლერისაგან ღებულობდა. ზაუკელი ლაპარაკობს, რომ სსრ კავშირის წინააღმდეგ კამპანიის დაწყების შემდეგ გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უდიდეს ზარალთან დაკავშირებით გერმანიის სარდლობა სულ ახალ-ახალ შევსებას მოითხოვდა და ამისათვის სამხედრო მრეწველობის მუშათა მობილიზაციასაც კი ახდენდა. მუშახელის ნაკლებობის შესავსებად სარდლობამ შექმნა ზაუკელის სამმართველო. ფრონტზე გასაგზავნად მობილიზებულებს ზაუკელი საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის წინააღმდეგ სცვლიდა სამხედრო ტყვეებით, აგრეთვე ოკუპირებული ქვეყნების მოსახლეობიდან წაყვანილი პირებით. ზაუკელი აცხადებს, რომ მუშახელის მობილიზაციას იგი ახორციელებდა თავისი პრინციპების შესაბამისად და ამ საკითხებს „ეკიდებოდა, როგორც გერმანელი".

შეკითხვაზე — ფიქრობდა თუ არა ბრალდებული, რომ ამას მძიმე შედეგები მოსდევდა მობილიზებულთა ოჯახებისათვის, ზაუკელი ცინიკურად აცხადებს, რომ ასეთი დაშორება მართლაც ძალიან მძიმე იყო ოჯახების წევრთათვის, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი ფიქრობდა არა უცხოელებზე, არამედ გერმანელ ჯარისკაცებზე.

საღამოს სხდომაზე ზაუკელის დაკითხვის დასკვნითი ნაწილი მიეძღვნა იმის დაწვრილებით გარჩევას, თუ როგორი იყო მისი პოლიტიკა დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და სსრ კავშირის ოკუპირებულ რაიონებში მუშათა მობილიზაციის, აგრეთვე გერმანიის სამხედრო მრეწველობაში მათი გამოყენების დარგში. დამცველს ზედიზედ მოჰყავს ციტატები მოკავშირე ქვეყნების მთავარი ბრალმდებლების მიერ წარდგენილი დოკუმენტებიდან, რომლებიც ახასიათებენ ბრალდებულის დანაშაულებრივ საქმიანობას, ხოლო უკანასკნელი, უდავო დოკუმენტებისა და საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების მიუხედავად, უსაბუთოდ უარჰყოფს მისთვის წარდგენილ ბრალდებებს.

ზაუკელის დაკითხვის განგრძობა გადატანილია შემდეგი დღისათვის.

29 მაისის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 29 მაისი. (საქინფორმი). დღეს დილის სხდომაზე გრძელდებოდა დამცველ სერვატიუსის მიერ ბრალდებულ ზაუკელის დაკითხვა. ადვოკატი თავის მარწმუნებელს ზედიზედ აძლევს კითხვებს, და ზაუკელი აძლევს წინასწარ მომზადებულ ვრცელ პასუხებს, რომლებიც ბრალდებულს ხელსაყრელად ხატავენ.

დამცველი ეკითხება, იყენებდნენ თუ არა ზემოქმედებასა და ძალადობას მუშახელის შეგროვების დროს და ძალადობის რა მეთოდებს იყენებდნენ? პასუხად ზაუკელი ჯერ ვრცლად ლაპარაკობს იმაზე, რომ „საერთოდ ყოველი ადმინისტრატიული ღონისძიება შეიცავს რაღაც გარკვეულ ზემოქმედებას", მაგრამ შემდეგ აღიარებს, რომ პოლიციური ზემოქმედება ოკუპირებულ ოლქებში შეიძლებოდა გაეწიათ ოლქების უფროსების, სს-ს ხელმძღვანელისა და პოლიცაიფიურერის განკარგულებით ან სათანადო მითითებით.

დამცველი იმოწმებს ბრალდების დოკუმენტებს და მოაგონებს ბრალდებულს, რომ მუშების ძალად შეგროვების მეთოდები საშინელ მდგომარეობას იწვევდნენ ცალკე ოლქებში და რომ ძალადობის სხვა მეთოდთა შორის იყენებდნენ ისეთებს, როგორიც იყო, მაგალითად, სოფლების გადაწვა, ცალკე ადამიანთა დახვრეტა და სხვ. რას იტყვით თქვენ ამაზე?— ეკითხება ადვოკატი.

ზაუკელი თავს იმართლებს და აცხადებს, რომ ყოველივე ამისათვის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს თითქოს მხოლოდ ადგილობრივ ინსტანციებს, რომლებიც ასეთ ძალადობას მიმართავდნენ.

საყოველთაოდ ცნობილი და დიდძალი საბრალდებო მასალით დამტკიცებულია, რომ მონობაში გარეკილ ადამიანთა გადაყვანა მეტად საშინელ პირობებში ხდებოდა: ვაგონები გაჭედილი იყო, მოზრდილები და ბავშვები იხოცებოდნენ ავადმყოფობით, შიმშილით, წყურვილით, ამ უბედურებს სცემდნენ და ხოცავდნენ. ზაუკელი, რომელიც თავის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გრძნობს ამ დანაშაულობათათვის, ყოველნაირად იმართლებს თავს და ცდილობს თავიდან მოიშოროს პასუხისმგებლობა; იგი აცხადებს, თითქოს ყოველივე ამას მას არ ატყობინებდნენ, თითქოს ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა იმ ეშელონებზე, რომლებითაც მისი უწყების მიერ მობილიზებული მუშები გადაჰყავდათ, არამედ პატიმართა ეშელონებზე და სხვ.

დამცველი დაკითხვას განაგრძობს და ბრალდებულს უჩვენებს საბჭოთა ბრალდების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტს, რომლითაც მტკიცდება, რომ გერმანიაში გარეკილი მუშები მონათა ბაზრებზე გაჰყავდათ, და იქ თითოეულს 15-20 მარკად ყიდდნენ. ზაუკელი ცდილობს ლიტონი სიტყვებით უარჰყოს ეს ფაქტები.

თავის დროზე ამერიკის ბრალდებამ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია: „ფიურერმა ბრძანება გასცა უკრაინიდან, აღმოსავლეთიდან წამოიყვანონ 400-500 ათასი ქალი 15-დან 35 წლის ასაკამდე და მუშახელის შეგროვების გენერალურ რწმუნებულს მიანდო მოკლე ხანში განახორციელოს ეს ბრძანება. გარდა ამისა, საჭიროა, რომ ეს ქალიშვილები გაგერმანელებულ იქნან".

ზაუკელი არ უარჰყოფს, რომ არსებობდა ჰიტლერის ასეთი განკარგულება.

ზაუკელის დაკითხვით მთავრდება ტრიბუნალის დილის სხდომა.

დემონსტრაცია რეიმსში

ლონდონი, 30 მაისი. (საქინფორმი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, რამდენიმე ათასმა ფრანგმა, რომლებიც ტყვედ იყვნენ გერმანიაში ანდა ძალით გაგზავნეს იქ ჰიტლერელებმა, 28 მაისს საღამოს ჩაიარა რეიმსის ქუჩებში ნიშნად პროტესტისა გერმანელი სამხედრო ტყვეების „თავხედობისა და უტიფრობის" წინააღმდეგ. დემონსტრაციის მონაწილენი ამტკიცებენ, რომ გერმანელი სამხედრო ტყვეები არსებითად განაგებენ ოლქს „მეტად გულმოწყალე ამერიკელ სამხედრო ხელისუფალთა თვალწინ".

დემონსტრაციის მონაწილეებმა გადასცეს საფრანგეთის რაიონულ ხელისუფლებს პეტიცია და მოითხოვეს ბოლო მოეღოს „ამ შეუწყნარებელ მდგომარეობას".

საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეგობრობის მიტინგი ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 29 მაისი. (საქინფორმი). მედისონ-სკვერ გარდენში, ნიუ-იორკში, შესდგა მიტინგი, რომელიც ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნულმა საბჭომ მოაწყო საბჭოთა ჟურნალისტების. ამხანაგების გალაკტიონოვის, ერენბურგისა და სიმონოვის პატივსაცემად. მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს სენატის სამხედრო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ტომასმა (იუტის შტატი), ყოფილმა ელჩმა სსრ კავშირში დევისმა, „ფერადი მოსახლეობის პროგრესის ხელშემწყობი ეროვნული ასოციაციის" წარმომადგენელმა დოქტორმა დიუბუამ, ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ კორლის ლამონტმა, ამხ. ა. ა. გრომიკომ, საბჭოთა ჟურნალისტებმა და სხვებმა. მიტინგის მონაწილეებმა ი. ბ. სტალინს გაუგზავნეს მიმართვა, რომელიც შეიცავს დაპირებას, რომ ყოველ ღონეს იხმარებენ ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განსამტკიცებლად.

პრეზიდენტ ტრუმენისათვის გაგზავნილი მიმართვა შეიცავს თხოვნას, რომ ტრუმენმა ამერიკის შეერთებული შტატები დაუბრუნოს საბჭოთა კავშირთან სრული თანამშრომლობის, დიდ სახელმწიფოთა ერთიანობის და ურთიერთ პატივისცემის პირობებში თანასწორ პარტნიორთა მეგობრული მოლაპარაკების წარმოების პოლიტიკის გზას.

მიტინგმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატები უმაღლესი სასამართლოს წევრ მერფის, შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ იკესის, საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის თავმჯდომარე მერეის, სენატორ პეპერის, ქალაქ ნიუ-იორკის მერ ო'დვაიერის, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკთა დამოუკიდებელი სამოქალაქო კომიტეტის პოლიტიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელ ჯეიმს რუზველტის (განსვენებულ პრეზიდენტ რუზველტის უფროსი შვილის), გაზეთ „ჩიკაგო სანის" გამომცემელ ფილდისა და სხვა პირთა მისალმებანი.

მდგომარეობა ფილიპინებზე

ნიუ-იორკი, 30 მაისი. (საქინფორმი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მანილელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ 28 მაისს 70 მილზე მანილის ჩრდილოეთით შეტაკება მოხდა სამხედრო პოლიციასა და „ხუკბალახაპის" (სახალხო ორგანიზაცია ფილიპინელი პარტიზანებისა, რომლებიც იაპონელი ოკუპანტების წინააღმდეგ იბრძოდნენ) წევრებს შორის. შეტაკება 12 საათს გაგრძელდა. მოკლულ იქნა ორი და დაიჭრა რამდენიმე პოლიცელი. „ხუკბალახაპის" დახოცილ წევრთა რაოდენობა გამოურკვეველია.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი აგრეთვე იუწყება, რომ სამხედრო პოლიციამ მოკლა „ხუკბალახაპის" ლიდერი ბულაკან-დელოსის პროვინციაში სანტოსი. კაბინეტის პირველ სხდომაზე ფილიპინების პრეზიდენტად როქსასის არჩევის შემდეგ განხილულ იქნა საკითხი „დაძაბული მდგომარეობის შესახებ, რომლის დროსაც კაბინეტს განზრახული აქვს მიიღოს დაუყოვნებლივი ზომები" (როგორც სჩანს, ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვთ გლეხთა მოძრაობის ჩაქრობა ლუსონის ცენტრალურ ნაწილში).

სამრეწველო წარმოების შემცირება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 30 მაისი. (საქინფორმი). ამერიკის შეერთებულ შტატებში სამრეწველო პროდუქციის გამოშვება აპრილში და მაისის დამდეგს შესამჩნევად შემცირდა, უმთავრესად გაფიცვების გამო, რომლებიც იმართება იმასთან დაკავშირებით, რომ მეწარმეები უარს ამბობენ მუშებისათვის დამაკმაყოფილებელი შეთანხმებანი დასდონ ხელფასის საკითხებზე, შრომის პირობებზე და სხვ. წარმოების დონეზე ყველაზე მეტი გავლენა მოახდინეს გაფიცვებმა ქვანახშირის მრეწველობაში.

ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკება დანიასთან

ნიუ-იორკი, 30 მაისი. (საქინფორმი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, ოფიციალურმა წრეებმა დაადასტურეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მოლაპარაკებას აწარმოებენ დანიასთან რადარის სადგურებისა და გრენლანდიის და ფარერის კუნძულების მეტეოროლოგიური სადგურების შემდგომ ოპერაციათა უზრუნველყოფის შესახებ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წინადადება წამოაყენეს მოამზადონ დანიელთა პერსონალი ამ სადგურების ხელმძღვანელობისათვის გრენლანდიიდან ამერიკელთა წასვლის შემდეგ და ისწრაფვიან ასეთი შეთანხმება დასდონ ფარერის კუნძულების შესახებ, რომლებსაც ომის დროს ინგლისელები განაგებდნენ. ოფიციალური წრეების განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატები ესწრაფვიან იმას, რომ ეს სადგურები მზად იყვნენ სამუშაოდ, ვინაიდან ისინი საჭიროდ ითვლებიან ოპერაციებისათვის ჩრდილოეთ ატლანტის კომერციულ საავიაციო ხაზებზე.

გამოხმაურება ამერიკის შეერთებულ შტატებში ტრუმენის კანონპროექტისადმი, რომელიც მიმართულია გაფიცვების წინააღმდეგ

ვაშინგტონი, 30 მაისი. (საქინფორმი). საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის თავმჯდომარემ მერეიმ 27 მაისს პრესას გამოსაქვეყნებლად გადასცა ტექსტი დეპეშისა, რომელიც მან გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების სენატის ყველა წევრს და მოუწოდა უარჰყონ ტრუმენის კანონპროექტი. ეს კანონპროექტი დეპეშაში დახასიათებულია როგორც „ცდა — გაათრიოს კონგრესში კანონი, რომლის ერთადერთი მიზანია მუშათა მოძრაობის მოსპობა ამერიკის შეერთებულ შტატებში". განაცხადა რა, რომ ომის დამთავრების შემდეგ ამერიკის მრეწველობის გავლენიანი წარმომადგენლები განზრახ ცდილობდნენ გამოეწვიათ კრიზისი, რომლის დახმარებითაც ისინი იმედოვნებდნენ ეიძულებინათ კონგრესი დაემტკიცებინა მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული კანონი, მერეიმ დაჰგმო როგორც კეიზის კანონპროექტი, ისე ტრუმენის წინადადება, რომლებიც, როგორც ნათქვამია დეპეშაში, ყოველმხრივ სპობენ უპირატესობას, რასაც მუშათა მოძრაობამ მიაღწია ამ უკანასკნელი 13 წლის მანძილზე".

მერეი მოუწოდებს სენატორებს უარჰყონ პრეზიდენტ ტრუმენის წინადადება, მიმართული მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ, აგრეთვე გადასინჯონ და უარჰყონ კეიზის კანონპროექტი. მერეი აღნიშნავს, რომ ორივე ეს ღონისძიება არღვევს ძირითად დემოკრატიულ და კონსტიტუციურ გარანტიებს და საფრთხეს უქმნის თავისუფლების საფუძვლებს.

მერეი მოითხოვს, რომ ტრუმენის წინადადება გადაეცეს სენატის კომისიას ყოველმხრივ და დინჯად განხილვისათვის და დასასრულ სწერს: „სენატმა არ უნდა დაუშვას და ვერც დაუშვებს, რომ მრავალი წლის ბრძოლის ნაყოფი გაქარწყლდეს და მოისპოს ნაჩქარევი და მოუფიქრებელი მოქმედებით. ჩვენ არ შეგვიძლია თავისუფლების საზღვრების გაფართოებისათვის სისხლისმღვრელი ომის შემდეგ მსოფლიოს გამოვუცხადოთ, რომ ამერიკამ ცინიკურად აირჩია ჩაგვრის გზა". როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი დეტროიტიდან იუწყება, საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში შემავალი საავტომობილო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის წარმომადგენლებმა პრესაში გამოაქვეყნეს განცხადება, რომლითაც ისინი მკვეთრად აკრიტიკებენ ტრუმენის წინადადებას. როგორც განცხადებაში აღნიშნავენ, „საშიში შეცდომაა ის აზრი, რომ მშრომელებთან კარგი ურთიერთობა შეიძლება დამყარებულ იქნას ისეთი კანონებით, რომლებიც ზღუდავენ ამერიკის მუშა ხალხის დემოკრატიულ უფლებებს". განცხადებაში ნათქვამია, რომ შრომითი ურთიერთობა ადამიანთა ურთიერთობაა, და მოცემულია გაფრთხილება, რომ მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული კანონი „უცილობლად გამოიწვევს ყველა მოქალაქის დემოკრატიულ უფლებათა სრულ მოსპობას".

ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარემ გრინმა, რომელიც შეუერთდა საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ლიდერებს კარენს, ტომასს და სხვებს, მკვეთრად დაჰგმო ტრუმენის წინადადებანი. გრინმა განაცხადა, რომ ტრუმენის წინადადება მთავრობის კონტროლქვეშ მყოფ საწარმოებში გაფიცულთა მობილიზაციის შესახებ უდრის „მონურ შრომას ფაშიზმის დროს" და რომ „ამერიკის შრომის ფედერაცია აფრთხილებს კონგრესსა და ტრუმენს, რომ საჭიროა გულდასმით განხილულ იქნას პროგრამა, სანამ მას ძალაში შეიყვანდნენ. თუ პროგრამა განხორციელდა, ფაშიზმი შეიძლება მოვიდეს ამერიკაში". გრინმა მკვეთრად დაჰგმო აგრეთვე ეგრეთწოდებული კეიზის კანონპროექტი, რომელსაც კონგრესი განიხილავს.

შემდეგ გრინმა განაცხადა, რომ ამერიკის შრომის ფედერაცია „უკანასკნელ სულთქმამდე" იბრძოლებს ტრუმენის წინადადებათა წინააღმდეგ, რომელთა მიზანია გაფიცულებთან ბრძოლა. მან განაცხადა, რომ ტრუმენის პროგრამა „დააყენებს მთავრობას კერძო მრეწველობის მხარეზე მუშების წინააღმდეგ". გრინმა თავისი განცხადება გამოაქვეყნა მას შემდეგ, რაც სენატში დაიწყო ტრუმენის წინადადებათა განხილვა.

იმ ტენდენციის საპირდაპიროდ, რომელიც გამოირკვა, 25 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატაში, სენატში გამოსვლები დღემდე მოწმობდნენ ტრუმენის პროგრამის დაგმობას. სენატორმა დაუნიმ (დემოკრატი კალიფორნიის შტატისაგან) განაცხადა, რომ ტრუმენის პროგრამა ყველაზე სასტიკი და ყველაზე დიქტატორული „ყოველივე იმისაგან, რასაც ადამიანის გონება წარმოიდგენს", და აღნიშნა, რომ ტრუმენის წინადადებანი ამერიკელ მუშებს ყმებად გადააქცევენ.

გამოხატა რა აშკარა შეშფოთება „რკინიგზის კონდუქტორთა ძმობის" პროფკავშირის თავმჯდომარე უიტნის მუქარის გამო, რომ იგი ტრუმენის წინააღმდეგ გაილაშქრებს პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში, ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ ჰენეგენმა თავის განცხადებაში პრესის წარმომადგენლებისადმი მოითხოვა, რომ „რკინიგზის კონდუქტორთა ძმობის" პროფკავშირის წევრებმა დაჰგმონ უიტნი და „მოუწოდა დემოკრატიულ პარტიას და პროფკავშირებს ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა აწარმოონ ერთად ჩვენი ეკონომიური ცხოვრების უსამართლობის გამოსასწორებლად".

იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ტრუმენის მახლობელმა პოლიტიკურმა მრჩევლებმა არაოფიციალურად გამოსთქვეს მოსაზრება, რომ ტრუმენის წინადადებათა გამო დაკავებული პოზიციის შედეგად 25 მაისს დემოკრატიული პარტია წააწყდება სიძნელეებს წარმომადგენელთა პალატაში უმეტესობის მიღებისათვის ბრძოლაში კონგრესის არჩევნების დროს, რაც შესდგება ნოემბერში. ამ წრეებმა განაცხადეს, რომ ტრუმენმა ერთობ დიდი ნაბიჯი გადადგა მარჯვნივ, წამოაყენა რა თავისი წინადადებანი, რომლებიც მიმართულია გაფიცვების წინააღმდეგ. მაგრამ მათ აღნიშნეს, რომ წარმომადგენელთა პალატის რესპუბლიკელი წევრები, რომლებმაც ხმა მისცეს ტრუმენის პროგრამას, აგრეთვე შეხვდებიან სიძნელეებს ნოემბერში.

პროფკავშირთა საბჭოების ყოველწლიური კონფერენცია

ლონდონი, 27 მაისი. (საქინფორმი). გასული კვირის დამლევს დერბში გაიმართა პროფკავშირთა საბჭოების ყოველწლიური კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო ინგლისის პროფკავშირთა საბჭოების 300 დელეგატი. კონფერენციის თავმჯდომარედ იყო ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის გენერალური საბჭოს წევრი ჰარისონი. კონფერენციას დაესწრნენ გენერალური საბჭოს სხვა წევრებიც.

კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც გამოთქმულია შეშფოთება ფაშისტური საქმიანობის გამო, რომელიც ამ უკანასკნელ ხანს ინგლისში აღორძინდა; სამმა დელეგატმა ხმა მისცა ამ რეზოლუციის წინააღმდეგ.

ჩრდილო-აღმოსავლეთი სამრეწველო რაიონების დელეგატები თავიანთ სიტყვებში შეშფოთებას გამოსთქვამდნენ უმუშევრობის საფრთხის გამო. მონმუტის დელეგატმა შეიტანა რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს შემოღებულ იქნას კანონი, რაც მთავრობას უფლებას მისცემს უხელმძღვანელოს მრეწველობას და არა მხოლოდ განკარგულებანი გამოსცეს. ეს რეზოლუცია არ გავიდა, მაგრამ გადაცემულ იქნა კვლავ შესასწავლად.

ზოგიერთმა დელეგატმა გააკრიტიკა „დეილი ჰერალდი" კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ ცილისმწამებლური სტატიების გამოქვეყნებისათვის და საბჭოთა პოლიტიკის კრიტიკისათვის. გაზეთის დასაცავად გამოვიდნენ პარლამენტის წევრი გენერალური საბჭოს წარმომადგენელი ო. ბრაიენი და ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის გენერალური მდივნის მოადგილეობის ამსრულებელი ტიუსონი.

ზოგიერთმა დელეგატმა წინადადება შეიტანა უარეყოთ რეკომენდაცია, რომელიც ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესმა მისცა პროფკავშირთა საბჭოებს, რომ არ შეიტანონ თანხები „პიპლ პრესში" („დეილი უორკერის" კოოპერატიული საზოგადოება), მაგრამ ეს რეზოლუცია უარყოფილ იქნა 188 ხმით 61-ის წინააღმდეგ.

ჰოსეინ ალა გადაყენებულია უშიშროების საბჭოში ირანის წარმომადგენლობიდან

თეირანი, 29 მაისი. (საქინფორმი). გაზეთ „რაჰბარის" ცნობით, იმასთან დაკავშირებით, რომ ჰოსეინ ალა არაერთხელ გამოდიოდა უშიშროების საბჭოში განცხადებებით, რომლებიც ინსტრუქციებს ეწინააღმდეგებოდნენ და ზიანს აყენებდნენ ირანის მთავრობის საერთო ხაზს, პრემიერ-მინისტრის ბრძანებით ჰოსეინ ალას ჩამოერთვა უშიშროების საბჭოში ირანის წარმომადგენლის მოვალეობა და რწმუნება.

გაზეთი „რაჰბარი" აგრეთვე იუწყება, რომ რამდენიმე დღის წინათ პრემიერ-მინისტრმა ჰოსეინ ალას გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც მკაცრად ჰგმობს მას იმისათვის, რომ მან თვითნებურად, ირანის მთავრობის მითითების უქონლად, გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდივანს წერილი ირანის საკითხზე. კავამ-ეს-სალტანე წინადადებას აძლევს ჰოსეინ ალას დაიბრუნოს ეს წერილი.

საომარი მოქმედება კუნძულ იავაზე

ლონდონი, 29 მაისი. (საქინფორმი). რეიტერის სააგენტოს ბატავიელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ კუნძულ იავაზე ინგლისელთა ნაწილებმა დიდი მასშტაბით დაიწყეს მოქმედება ქალაქ მედანის გასაწმენდად ინდონეზიელთა რაზმებისაგან.

ქალაქ კონაკოვოს (კალინინის ოლქი) მ. ი. კალინინის სახელობის ფაიანსის ქარხანა შეუდგა მაღალი ხარისხის მხატვრული ნაკეთობის გამოშვებას ფაიფურისა და ფაიანსისაგან. სურათზე: ერთ-ერთი საუკეთესო მხატვარი ლ. ხალნიკოვა.

ფოტო ნ. ჩამოვისა (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

დამატებითი საავტობუსო მარშრუტები

ზაფხულში მოაგარაკეთა უკეთ მომსახურების მიზნით 1 ივნისიდან ინიშნება დამატებითი ავტობუსები შემდეგი მიმართულებებით:

თბილის-კოჯორსა და თბილის-კიკეთს შორის ყოველდღიურად ივლის სამ-სამი ავტობუსი.

გარდა მიმოსვლაში მყოფი ავტობუსებისა, დამატებითი მარშრუტები ინიშნება თბილის-მანგლისსა და თბილის-თეთრ წყაროს შორის.

მხატვრული კინოფილმების ქართული ვარიანტები

თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია ქართულ ენაზე ახმოვანებს ცნობილ მხატვრულ ფილმებს: „უდანაშაულო დამნაშავენი", „გამარჯობა მოსკოვო!"

უკვე დამთავრებულია გახმოვანება მხატვრული ფილმებისა: „ოქროს ბილიკი", „ორთაბრძოლა", „ადამიანი № 217", „ჯურღმა'ს ფარი", „ეს მოხდა დონბასში".

ამ ფილმების ქართული ვარიანტები უახლოეს ხანში წავა ჩვენი რესპუბლიკის ეკრანებზე.

თბილისის საცხენოსნო-სასპორტო სკოლა

ლენინის ორდენოსანი სასპორტო საზოგადოების „სპარტაკის" თბილისის საცხენოსნო-სასპორტო სკოლამ ფართოდ გაშალა მუშაობა. უკანასკნელი ხნის მანძილზე სკოლამ მოამზადა 12 ინსტრუქტორი. კურსდამთავრებულნი იმუშავებენ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში კოლმეურნეობებთან არსებულ სპორტსკოლების ინსტრუქტორებად.

ამჟამად სკოლასთან მეცადინეობს სამი ჯგუფი 22 კაცის შემადგენლობით, რომელთაც ხელმძღვანელობს სამამულო ომის მონაწილე, სამი ორდენის კავალერი, დემობილიზებული ოფიცერი თ. ამილახვარი. სკოლა ემზადება საქართველოს საცხენოსნო შეჯიბრებისათვის, რომელიც მიმდინარე წლის შემოდგომაზე შესდგება.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში მორიგი მეცადინეობა შესდგება კვირას, 2 ივნისს, დილის 10 საათზე, კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტის შენობაში (ლენინის ქ. № 41).

თეატრებში

1 ივნისს, სახელმწიფო ოპერა — „ამბავი ტარიელისა". **რუსთაველის სახელობის** — „ორი ბატონის მსახური". **მარჯანიშვილის სახელობის** — „შესაფერი ჯილდო". **გრიბოედოვის სახელობის** — „საგანგებო კანონი". **სომხური** — „სოსი და ვარდიტერი". **ახუნდოვის სახელობის** — „გულთა დამმონებელი". **მუსიკალური კომედიის** — „სილვა". **ხანკულტურის** — „ასეც იქნება". **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„ალმასის საბადოები". **რუსული** — „პოლკის შვილი". **თოჯინების ქართული** — „წიქარა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1946 წლის 12 ივნისს, დღის 3 საათზე, აუდიტ. № 86-ში (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1), **არტაშეს გაბრიელის-ძე მხითარიანი** ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „**მიხეილ შოლოხოვი**".

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი **ნ. ილინსკი**, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი **მ. ბაისაგოლოვა**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1946 წლის 12 ივნისს, დღის 1 საათზე (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) აუდიტორია № 86, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **გრიგოლ ერემიას-ძე ჩხარტიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „**უფლებათა დიდი ქარტია**".

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **გ. ნათაძე**, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი **ალ. ნამორაძე**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მოქალაქე **ქეთევან გიორგის-ასულმა დათიაშვილმა**, მცხოვრებმა ფიროსმანის ქ. № 50, აღძრა საქმე ფიროსმანის ქ. № 23 მცხოვრებ მოქალაქე **მიხეილ აბრამის-ძე ბიაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ეკატერინე დავითის-ასულმა სოკაევამ**, მცხოვრებმა ვახუშტის ქ. № 7, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **გრიგოლ ზაქარიას-ძე სოკაევთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1946 წლის 12 ივნისს, დღის 12 საათზე, აუდიტორია № 86 (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1), **სიმონ გიორგის-ძე გაჩეჩილაძე** ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „**აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი"**".

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **შ. რადიანი**, დოცენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი **გ. ჯიბლაძე**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი
(ფუნიკულიორის პლატო)

2 ივნისს დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერა-ცეკვების სახელმწიფო ანსამბლის
კონცერტი
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

1 ივნისს საზაფხულო დარბაზში — ერთდროული თამაშის სეანსს ჩაატარებს **ა. ფალავანდიშვილი.** დასაწყისი 8 საათზე.

გაიხსნა საცეკვაო მოედანი. უკრავს ჯაზ-ორკესტრი.

ცეკვების დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

მეუღლე ელენე შვილით, ძმები დავით, შალვა, ირაკლი ფურცელაძეები ოჯახებით იუწყებიან **კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე ფურცელაძის** გარდაცვალებას.

ოჯახი იუწყება **ნატალია დავითის-ასულ ქორფაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 1/VI, 6 ს. ქორესის, 44.

გ. ჰეიშვილი, ნ. ტუღუში, თ. შალამბერიძე ოჯახებით იუწყებიან მაიორ **ივანე ტიმოთეს-ძე ვარდოსანიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 1/VI, 6½ ს. ქორესის, 59.

ოჯახი იუწყება **ბიძინა გიორგის-ძე ბეზარაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1/VI, 8 ს. გამოსვენება 2/VI, 1 ს. ლენინის, 17.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნისა—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უე 00160